

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ეთერ მორთულაძე

წარმოქმნილი სახელები ძველ ქართულში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი.

პროფესორი: მედეა რიჟვაძე

ბიჭაური

2021

ანოტაცია

წარმოქმნილი სახელების შესწავლა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხია. რამდენადაც ნაწარმოები სახელები ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. მოცემულ ნაშრომში სწორედ ამ თვალსაზრისით ეყრდნობა რა ნაშრომი ძველ ქართულ ტექსტებს, კერძოდ, V-XI საუკუნეს, განიხილება ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების მონაცემები. ცნობილია, რომ ამ პერიოდის ტექსტები სასულიერო ხასიათისაა, სწორედ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ნათელი გახდა, რომ ძველ ქართულ ენაშიც გამოიყოფა აქტიური და პასიური სუფიქსები, საინტერესოა სიტვათა ეტიმოლოგიური ძიებანიც, სახელდობრ, ზოგიერთი ბგერათკომპლექსი, რომელიც ერთი შეხედვით ფუძისეული ჩანდა, სინამდვილეში სუფიქსებს წარმოადგენს. წარმოქმნილ სახელთა შესწავლა ძველ ქართულ ტექსტებზე დაყრდნობით აქტუალურია იმიტომაც, რომ საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი დიაქრონულ ასპექტში.

კვლევის მიზანია, ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულ წარმოქმნილ სახელთა მოძიება, კლასიფიკაცია და დახასიათება შინაარსობრივ დონეზე.

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ხოლო ძირითადი შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით. ვფიქრობთ, აქ თავმოყრილი მასალა დაეხმარება ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს აღნიშნული საკითხის შესწავლაში.

Anotation

The study of derived words is an important issue in linguistics. As far as, derived words might be considered one of the ways of enriching the language. With this point of view, the data of the old literary monuments are discussed in our paper. The paper is based on the old Georgian texts, namely V-XI centuries. As we know, the texts of this period are of ecclesiastic nature, and based on them it is vivid that active and passive suffixes are distinguished in the old Georgian language, as well as some sound patterns, which at first glance seemed to be root, but in fact they were suffixes. The study of derived words based on the old Georgian texts is topical because it allows us to study the mentioned issue diachronically.

The aim of our research is to separate, classify and characterize the derived words in the old Georgian texts on the content level.

We have used descriptive and historical-comparative methods of a research. The main results of the research are presented in the form of conclusions. We think that the material presented here will help the students of the Faculty of Philology.

შინაარსი

შესავალი	10
§1. აბსტრაქტული სახელები	12
§2. წინა ვითარების	19
§3. ქონების	21
§4. უქონლობის	27
§5. გეოგრაფიული	30
§6. ხელობის	31
§7. ხარისხის	34
§8. წარმომავლობის	38
§9. რიგობით-წილობითი	41
§10. დანიშნულების	42
§11. კნინობითი	45
§12. თანდებულიანი	48
ძირითადი დასკვნები	49
შემოკლებათა განმარტება	
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	52

შესავალი

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სიტყვას ორგვარი ცვლილება მოსდის. ერთია მიმოხრა (ფლექსია), მეორე კი - წარმოქმნა (დერივაცია). სახელის მიმოხრას ბრუნება ეწოდება. სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები ლექსიკურად ერთია და გრამატიკულად კი-განსხვავებული. წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად. რაც ნიშნავს იმას, რომ: „დერივაციის გზით სახელის ფუძისგან მიღებული ფორმა ისევ ფუძეა, მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც შინაარსიც სხვა ახლავს“ (შანიძე, 1973: 108).

ტერმინი „სიტყვაწარმოება“ აღნიშნავს ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის წარმოებული სიტყვების ფორმირების პროცესებს, მათ სტრუქტურას, აგრეთვე იმ სისტემას, რომელშიც ისინი შედიან. ენა განასხვავებს ძირეულ სიტყვებს (მაგ: ტყე, მდინარე, ზღვა, სუფრა - როგორც პირველად, პრიმიტიულს და ნაწარმოებ სიტყვებს - ჩამოყალიბებულს არსებული სიტყვების საფუძველზე (მაგ. საზღვაო, მდინარე, მხიარული, ტყიური). ნაწარმოები სიტყვები ქმნიან გარკვეულ სისტემას - სიტყვაწარმოქმნის სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ორ ელემენტს, ანუ იყოფა ორ ქვესისტემად:

1. სიტყვების აგების ტიპები;
2. სიტყვის შემქმნელი ბუდეები

ნაწარმოები სიტყვის სტრუქტურის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი სიტყვათწარმოება (სიტყვის ფორმირების სტრუქტურა, ასევე ნაწარმოები სიტყვის სტრუქტურაც.). ტერმინი „სიტყვის ფორმირება“ ყველაზე შესაფერისია ახალი სიტყვების შექმნის პროცესის აღსანიშნავად, ამასთან, ამ ტერმინს ხშირად იყენებენ ენათმეცნიერების შესაბამის განყოფილებაში მითითების მიზნით. ენათმეცნიერებაში კი მისი სინონიმია ტერმინი დერივატოლოგია.

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად ქართულ ენას გამოყენებული აქვს პრეფიქსები და სუფიქსები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად. ამასთან, თითოეულ აფიქსს მხოლოდ ერთი გარკვეული ფუნქცია აქვს. ქართულისათვის ბუნებრივია ერთფუნქციიანი აფიქსები, რომელთაც კონკრეტული დანიშნულება

აქვთ. ქართულ აფიქსთა შორის აქა-იქ მოიპოვება ორ და მეტ ფუნქციანი აფიქსების კვალიც, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. ცალკე პრეფიქს-სუფიქსები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის სახელს აწარმოებს. რაც შეეხება დერივატებს - გამოყენებულია, როგორც საგანგებო ელემენტები, ისე ზოგიერთი ფლექსია და თანდებული. წარმოქმნილ სახელთა ბუნება და სახეები ჯერ კიდევ ძველი გრამატიკოსების ინტერესს წარმოადგენდა. წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა მოცემული იყო სწორედ ძველ გრამატიკოსთა ნაშრომებში, მაგრამ მისი ნამდვილი, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული კლასიფიკაცია პირველად მოგვცა ა. შანიძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (შანიძე, 1973).

ენის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და საინტერესო საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი აფიქსური სიტყვაწარმოებაა. სიტყვაწარმოება კი სიტყვის აგების ტექნიკას შეისწავლის. იმის შესახებ, თუ რომელ დარგს განეკუთვნება სიტყვაწარმოება, მსოფლიო სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა და არსებობს.

ა) სიტყვაწარმოებას მორფოლოგიაში განიხილავს მეცნიერთა ჯგუფი: აკაკი შანიძე, ვ. ვინოგრადოვი, მ. პეტერსონი, დ. ანდრეიჩინი.

ბ) სიტყვაწარმოებას გრამატიკის დამოუკიდებელ დისციპლინად თვლიან: ჰ. პაული, ა. შახმატოვი, ვ. ტრავნიჩევი.

გ) სიტყვაწარმოებას ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ: არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ალ. ლლონტი, ივ. ქავთარაძე, ანტ. კიზირია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა...

ლექსიკოლოგია სწავლობს ენის ლექსიკურ შედგენილობას, მისი განვითარების დინამიკასა და საშუალებებს. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიიდან ლექსიკოლოგიაში გადადის და ლექსიკოლოგიის კუთვნილება ხდება (ვ. თოფურია, 1956, 33). ბუნებრივი და კანონზომიერი იქნებოდა ფუძის წარმოქმნა იქ განგვიხილა, სადაც ფუძეთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია მოხდებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ: ნაწარმოებ ფუძეთა საკითხი ლექსიკოლოგიის საკითხი უნდა იყოს და არა მორფოლოგიისა (არნ. ჩიქობავა, 1964, 41).

დ) სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დისციპლინის - გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია: ა. ხაკულინენი, ი. არნოლდი.

სიტყვაწარმოებასა და ლექსიკოლოგიას იმიტომ უკავშირებენ ერთმანეთს, რომ ორივეს სიტყვასთან აქვს საქმე. მორფოლოგია სიტყვის აგებულებას სწავლობს, ხოლო ლექსიკოლოგიასთან კავშირი იჩენს თავს იმდენად, რამდენადაც ნაწარმოები სიტყვა გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია (ფოჩხუა, 1974). სიტყვაწარმოება ორივე მომენტის გათვალისწინებას გულისხმობს: სიტყვის აგების ტექნიკა, ფუძისა და აფიქსის ურთიერთმიმართება მორფოლოგიის ამოცანაა, ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობის დადგენა კი ლექსიკოლოგიას ევალება.

დერივაციული აფიქსები მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას და მხოლოდ ფუძესთან შეერთებით ავლენს თავის ფუნქციას. გარდა ამისა, დამოკიდებულების აღმნიშვნელი და ფუძის საწარმოებელი აფიქსების გამოიყენება ყოველთვის არ ხერხდება (ტუსკია, 1975). აფიქსი შეიძლება იყოს პროდუქტული და არაპროდუქტული. პროდუქტულია აფიქსი, რომელიც გამოიყოფა სიტყვაში და თანაც აქტიურად აწარმოებს ახალ სიტყვებს და ფორმებს. ძველი და ახალი ქართული ენა განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს აფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით. თანამედროვე ქართულში პროდუქტულია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, აგრეთვე ზოგი საწარმოქმნო აფიქსი -ობა, -იან, სი- ე ძველ ქართულში გამოყენებულ აქტიურ აფიქსებზე, კი ქვემოთ გვექნება საუბარი.

არაპროდუქტული აფიქსი, მართალია, ჯერ კიდევ გამოიყოფა სიტყვაში, როგორც მნიშვნელობის მქონე ელემენტი, მაგრამ მას არ შესწევს ძალა აწარმოოს ახალი სიტყვა. ასეთია მაგალითად ხ- პრეფიქსი სიტყვაში **ხარ**, **მოხვედი** ...ძველი ქართულის დონეზეც აფიქსი შეიძლება იყოს უქმი, ანუ, მკვდარი. უქმია აფიქსი, რომელიც ოდესღაც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებით, მაგრამ ახლა აღარ გამოიყენება და რომელიც გამოიყოფა მაწარმოებელ ელემენტად. იგი მთლიანადაა შეზრდილი ფუძესთან მაგ: **ედ** სუფიქსი (ყბედი უჯრედი..) მოქმედი იყო უძველეს ქართულში, დღეს კი - ფუძესაა შეზრდილი...

აფიქსის მოხმარების სფეროც არ არის ერთნაირი. ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ის შეიძლება იყოს პროდუქტული ან არაპროდუქტული მაგ; **-ედ** **-აკ**

ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ პერიოდის ენისთვის აღნიშნული სუფიქსები პროდუქტული იყო, ახლა კი ისინი უქმია .

ქართულში, ტრადიციულად, წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. „შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვ.“ (შანიძე, 1973: 120).

ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ძველი ქართული ენის ტექსტებიდან მოძიებული მასალის საფუძველზე წარმოქმნილ სიტყვათა კლასიფიკაცია და ამასთან, დერივაციულ აფიქსთა გამოყოფა - დახასიათებაა.

ნაშრომზე მუშაობისას ძირითად წყაროდ ავიღეთ “წიგნნი ძუელისანი აღთქუმისანი“, რომელიც ბაქარ გიგინეიშვილის რედაქციით, 1989 წელს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“. ის წარმოადგენს პირველ ნაკვეთს ძველ ქართულ თარგმანთა კრიტიკული გამოცემისა. ნაშრომში გამოყენებულია ძველი აღთქმის ტექსტები, ძველი ქართული ტექსტები თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს, თუ რა განვითარების გზა გაიარა ქართულმა ენამ და როგორი იყო მისი სახე განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ალბათ, ძველი აღთქმის ტექსტები ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია, რამდენადაც იგი სასულიერო ხასიათის და კონსერვატიული ბუნებისაა, ეს იქნება ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ტექსტები. ამიტომ აღნიშნული ტექსტები საინტერესოა არა მხოლოდ ფილოლოგიური თვალსაზრისით, არამედ კულტურის ისტორიისა და მხატვრული აზროვნების ფორმირების მხრივაც, ზოგადად. ვეყრდნობოდით ასევე, V-XI საუკუნის ტექსტებს, რომელიც გამოვიდა 1973 წელს, ილია აბულაძის რედაქციით, (გამომცემლობა „მეცნიერი“), ასევე ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელიც მდიდარ მასალას გვაძლევს გამიზნულ თემაზე მუშაობისთვის, რადგანაც გვიქმნის სრულყოფილ წარმოდგენას ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესახებ, თუ როგორ იცვლება ენა მორფოლოგიური, სტილისტური და სხვა თვალსაზრისით. რასაკვირველია, ეს განსხვავება ეხება წარმოქმნილ სახელებსაც და საწარმოქმნო აფიქსებსაც, რომლებიც გამოყენების მიხედვით განსხვავდება არა თუ რომელიმე პერიოდის, არამედ ერთი

პერიოდის სხვადასხვა სკოლის გადამწერთა მიხედვით და ამიტომაც, რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება სხვადასხვა ვარიანტით იყოს წარმოდგენილი. ამდენად კვლევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც ენის განვითარება ისე გადამწერთა სტილი.

მასალა ამოვკრიბეთ აგრეთვე „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონიდანაც“ რამდენადაც „იგი წარმოადგენს სალიტერატურო ქართულში ხმარებული სიტყვების საკმაოდ სრულ სიას“ (ფოჩხუა, 1972:163). მითითებულ შრომებშია თავმოყრილი ჩვენთვის საინტერესო მასალის უდიდესი ნაწილი.

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავალი ნაწილის, ძირითადი ნაწილის დასკვნების, შემოკლებათა განმარტებისაგან. სულ 12 პარაგრაფს მოიცავს, რომელიც ნაშრომის ძირითადი წარმოადგენს, ასევე ძირითად დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

§ I. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტულ სახელთა უძველეს საწარმოებელ აფიქსად პრეფიქს-სუფიქსია მიჩნეული. ოდენსუფიქსური წარმოება ისტორიულად ახალი მოვლენაა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-ება, -ობა** სუფიქსები და **სი-ე** პეფიქს-სუფიქსი საერთო საწარმოებელი აფიქსებია მასდარისა და აბსტრაქტული სახელებისა. ისინი მასდარიდან მომდინარეობენ აბსტრაქტულ სახელში. გასათვალისწინებელია, რომ ლექსიკური მნიშვნელობის მხრივ, და წარმოების თვალსაზრისითაც, მასდარი განსხვავდება აბსტრაქტული სახელისაგან, იგი ზმნის ფუძისაგან იწარმოება, აბსტრაქტული სახელი კი წარმოებისთვის სახელის ფუძეს ეყრდნობა. გამოყენების თალსაზრისით კი, მათ შორის განსხვავება არაა - წინადადებაში ორივე სახელებად გამოიყენება.

-ება და **-ობა** სუფიქსები რთული შედგენილობისაა; **-ებ, -ობ** წარმოშობით თემის ნიშნებია, **- ა** - კი, საკუთრივ აბსტრაქტული სახელის საწარმოებელია.

აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად უფრო მეტად ახალ ქართულში კიდევ ორი აფიქსია გამოყენებული: პრეფიქსი **სი-** და სუფიქსი* **-ე**, სპორადულად **ო**.

არნ. ჩიქობავას სპეციალურ გამოკვლევაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ დადასტურებულია, რომ პრეფიქსსაც და სუფიქსსაც თავ-თავისი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. **სი-ე** და **სი-ო** აფიქსებიდან **-ე** და **-ო** წარმოშობით ოდენხმოვნისანი დეტერმინანტი სუფიქსებია, რომლებიც სხვა სახელებშიც ხშირადაა გამოყენებული(მაგ, მიმღეობაში: **სას-ო**, **სათნ-ო**, **მოწაფ-ე**.. და სხვა.) აქვე ისიც არის მითითებული, რომ ოდენხმოვნისანი ვარიანტების არსებობა გამოწვეულია ბოლოკიდური ზოგი თანხმოვნის დაკარგვის ერთგვარი ტენდენციით. თავისი აგებულებით **სი-** რთული შედგენილობისაა: შედგება თანხმოვნისანი და ხმოვნისანი ელემენტისაგან. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ **ს** პრეფიქსი ნივთის გრამატიკულ კატეგორიას გამოხატავს.

რაც შეეხება პრეფიქსებთან ერთად გამოყენებულ ხმოვნებს მათ, გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონოდათ, ოღონდ ამ ფუნქციის წარმომავლობის კვლევა ჭირს. კერძოდ, **სი-** პრეფიქსის **ი** დაკავშირებულია ზმნის ფუძის საწარმოებელ **ი**

თავსართთან (ი-ტყვს>სიტყუად). რამდენადაც **სი-** აბსტრაქტულ სახელებთანაც არის გამოყენებული, შეიძლება იგი იმ **ი** ნიშანს დაუკავშირდეს, რომელიც საერთო აფიქსადაა მიჩნეული სათავისო ქცევასა და ნათესაობით-მოქმედებით ბრუნვებში და, ამდენად, წარმოშობით გრამატიკული კლასის აღმნიშვნელ საგანთა კუთვნილებაა.

აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნის მხრივ თუ შევადარებთ ძველსა და ახალ ქართულს, საგრძნობი სხვაობაა მათ შორის:

ა) დასტურდება **-ება** სუფიქსი ხმარება იმ ფორმებთან, რომლებიც ახალ ქართულში **-ობა** სუფიქსით დასტურდება. მაგ:

ჰმსახურებენ ერთიერთსა და პატივცემულ არიან **თითოებითა** თვსითა და ერთიერთას ეკმარებიან(მ.სწ.176,32).

ნუ **თანა-ეზიარებით** საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა(ეფეს.5,11) (შდრ. თანაზიარობა)

„მიწისაგან ესე **კაცებად** თანა აღიყვანა“(ჰაბო.59,37).

არცა **მამაკაცებად**, არცა **დედაკაცებად** (ქ.ცხ.82.7).

თუმცა მოგვიანო ხანის ძეგლში დასტურდება **-ობა** სუფიქსიანი წარმოება: ჯორცნი იგი **კაცობისა** მისისანი ერთითა პირითა განცხადდეს(საკ.წიგ. 15,85)

აზნაურებისაგან განვვარდი ჩემისა (მ.ცხ.176 r)//**აზნაურებითა** მით, რომლითა ქრისტემან განგუააზნაურნა, მტკიცეთ სდეგით(გალატ.5,1).

ცხად არიან საქმენი რომელ არიან: შურნი... **კაცის-კლვანი.. ლირწებანი**, მთვრალობანი.. (გალ.5,21)

გვაქვს ასევე პარალელური ფორმები **-ება** და **-ობა** სუფიქსით წარმოებული:

აბრალეზდეს კაცი თვთ თავსა თვსსა (იობ.33.27). // ნუ **აბრალობ** კაცთა(მ.სწ.158.26). // უტეობთ **ბრალობასა** თავთა ჩუენთასა(მ.ცხ.49r).

დაასრულეს **ბასრობად** იგი მის ზედა(მრ.15.20).// აზრახეა ჩემი **ბასრებად?** (სინ.6-158 r)

მისითა **არსებითა** არს სიცოცხლჳ ცხოველთა(გრ. ნოს.224-5). //არა ჯერ არს .. თქუმად.. **არსობად** ბოროტისა(ბას.კეს. 34-2).

ბ) ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი სახელზმნათა პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება ახალ ქართულში ოდენსუფიქსურ წარმოებაზეა გადასული მაგ. :

„კმა არს დღისა მის **სიბოროტჳ** თვსი“(მთ.6,34).

იყო ჯორი იგი...მანკიერი და მათ არ იცოდეს **სიმედგრე** მისი და ზნოანება(ი-ე.48,27)

იგი მიიღებს **სიორძილესა** ჯორცთაცა(კიმ.82,22)(შდრ.სიორძილ>აღორძინება)

წერილ არს ჟამად-ჟამდ **სიორძედ** ქებად მის თანა(ევთ სტიქ.23)

ასევე მათ რიგში შეგვიძლია გავაერთიანოთ დღეისათვის გასუბსტანტივებული სახელები: სიდუმილი(>მდუმარება), სიცბილი(>ცბიერება), სიმდვილი(>დახრჩობა).. მოცემული ფორმები უნდა წარმოადგენდეს იმდროინდელ ვითარებას, როცა სახელი და ზმნა ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული და ამგვარი წარმოება ძველ ქართულში უფრო ნაშთს წარმოადგენს, ვიდრე ნორმას.

შეინიშნება, რომ ახალთან შედარებით ძველ ქართულში **სი-ე** ტიპის წარმოებას უფრო მეტი ძალა ჰქონდა(სიბორგილე,სიორძილე..) ეს ფორმები. პროდუქტიული იყო **-ება** წარმოებაც, ახალ ქართულში კი იგრძნობა **-ობა** სუფიქსის გაბატონების ტენდენცია. და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესასა და იხილა სიდედრი იგი მისი,დავრდომილი **მხურვალეებითა** (მთ.8.14)

დიდ არს **სარწმუნოებად** ეგე შენნი (მთ.15.28)

ვითარცა **მთვრალეულობამან** და **ბრუცეულებამან** ვინმე შეიპყროს (ოქრ.მარხ და იოან 104.16)

განდგომილებასა ასწავებ მოსესგან(საქ მოც.21.21)

რამეთუ მისი არს **დიდებად** და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე(გამ იოვ.1.6)

ამპარტავნებასა უღმრთოთასა შეიწუვინ გლახაკი(ფს.9,23)

ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა; უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა **დედაკაცისა** თანა, არა შეჰგავს **ქორწინებად**(მთ 19.10)

ვითარცა ძე კაცისა არა მოვიდა, რადთამცა იმსახურა,არამედ **მსახურებად** და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის(მთ.20.28)

დაიცვენით თავნი თქვენნი ყოვლისაგან **ანგაჰრებისა**(ლ.12,15)

ვიდოდეთ ჩუენ **ერთგულებით** სახლსა ღმრთისასა(ფს.54.15)

იგინი აღივსნეს **მანკიერებითა**(ლ.6,11)

სირცხვლელ ქმნის **აზნებად** და **აზნაურებად** იგი მისი(Ath-17. გვ325)

იხილო შემდგომად სამისა დღისა **ამბოხებად**(O.IIIეზრა.5,4)

ამიერი ესე **გემოვნებად** საუკუნეთა მათ აღგირჩევდეს კეთილთა(მ.ცხ.გვ.30)

სადა არს **დევენულებად**, რადთამცა ვიწამე(მ.ცხ.12,10)

ვაებასა მივსცემდე თავსა ჩემსა(მ.ცხ.98)

შენდამი განვაცხადენ ვედრებანი ჩემნი(I.ერემ.20,12)
ენა ზრახავს მას, რომელსა მოსცემს გული და გონება(მ.სწ.17,13)
თუ სდიოდეს დინება სისხლისა(ლევიტ.5,25)
გამოჩნდეს გინებულება შენი,მრუშება და გოლგოლება შენი(იერემ.13,26)
ნუ ისწრაფი სულითა შენითა განრისხებასა(ეკლს.7,10)
მაქუს მე ჳორცთაგანცა სასობა(ფლპ.3,4)
აბსტრაქტულ სახელთა დიდი ნაწილი -ება სუფიქსით იწარმოება, იგი უპირატესად
იერ-ზე გათავებულ ზედსართავებთანაა გამოყენებული:
.მაგ: „სიკეთე და გონიერებაი აქუს“(ანტიოქ.52,8)
მისცა ხუედრი მათ არძანგებისაებრ მათისა(ქ.ცხ.6,10)
ბრძენი რომლისა განგებასა აუგი ერთის, იგი არა ბრძენი არს(მ.სწ.154,30)
„წადიერებაი გულისა ჩემისა აღავსო“(ჳაბო.56.20)
ვსძლოთ მტერსა მას და ზაკულებასა ეშმაკისასა(რიფს.164,17)
ვიდოდეთ ჩუენ ერთგულებითა სახლსა ღმრთისასა(ფს.54,15)
მარხვად ჳეშმარიტი იგი არს...მოთმენად, გულის-თქუმათად, განყენებად,
ენოვნებისად(ბალ.164,14)
არა ეცეს კადნიერება(იგ.სოლ.0.13,5)
ბრძანებად მისი უგანმკუეთელს არს უფროდს მახჯლისა ორპირისა და უმაღეს არს
კამკამებასა ელვისასა(ბალ.71,22)
ლხინება ყოს მისთვის მღდელმან ცოდვისათვის(ლევიტ.4,35)
იყო ჯორი იგი...მანკიერი და მათ არ იცოდეს სიმედგრე მისი და ზნოანება(ი-ე.48,27)
აუწყა მეფესა მზაკუვარებად იგი(არსტ.68,2)
უმკვდროებად სულისა ჩემისად იზრახეს(ფს.34,12)
იყო ღაღადებად დიდი ყოველსა ეგვპტესა(0.გამოსლ.12,30)
ცეცხლმან შეჳამა შუენიერებად უდაბნოსად(იოვ.1,20)
ხედვიდა რა... წარმატებასა ძმათასა... ელმოდა(ი-ე.46,5)
წესიერებითა საღმრთოდთა ყუაოდა(შუშ,10,25)
არარად ამათგანი ესწორების ნეტარებასა მას მართალთასა(ბ.კეს.40თვს.118,13)
ჯუარი ნუყიერებად არს მშიერთად(მ.სწ.219,1)
ნუ აჯუებ მას თავისუფლებასა(ზირ.0.7,23),

ეს უკანასკნელი ფორმა გვხვდება აგრეთვე -**ობა** სუფიქსითაც მაგ:

განვჰქსნნეთ თავნი ჩუენნი შეკრულებისაგან ბოროტთადა, რამეთუ ჰელმწიფედ **თავისუფლობად** გუაქუს თავთა ჩუენთა ზედა(მ.ცხ.150,31)

მრავლითა მარხვითა და **მოთმინებითა** იქცეოდა(ატმ.102,5)

მოიღოს მოსაგებელი **მოლოდებისა** მისისა(მ.სწ.181,23)

რომლისა თანა არს **სულგრძელებად** და **მოთმინებად** მყის აღარღვს იგი შფოთებად და გულის-წყრომად(მ.სწ.237,16)

-**ება** სუფიქსი დაერთვის :ა)სხვა აფიქსებით წარმოქმნილ და პირველად **ზედსართავ სახელებს** მაგ: „სიბერისა **პატიოსნებად** არა მრავალი ჟამი არს“(ხანძთ.გ41)

ბ)არსებით სახელებს „ხოლო მან აღიარა **მონებად** თვისი“(საბა.ასურ.12.20)

გ) ვნებითი გვარის მიმღეობებს „იყო მათ დღეთა შინა **დევნულებად** დიდი“(საქმე.სამოც.8,1)

დ) საშუალი გვარის მიმღეობებს „**მწუხარებაი** თქუენი სიხარულად გარდაიქცეს“(იოვ.16,20)

ე)ზოგიერთ რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელს, ზმნისართსა და ზმნისგან ნაწარმოებ სახელებს მაგ: „რად გივმს ზედამიწევნით ცნობად ჩუენისა **ვითარებისად?**“(ზარზ.155,1).

ძველ ქართულში დადასტურებული აგრეთვე-**ობა** სუფიქსი,მაგ: ისწრაფდით დამარხვად **ერთობასა** მას გულისასა(ეფეს.4,3)

წყალობად ღმრთისად უწინარეს არს,**წყალობასა** კაცთასა(მამ.სწ.29)

მოსწყდეს იგინი **ასლობათა** დასაბამსა, დღეთა მათ ქრთილის მკისათა(ო.იი.მეფ.21,9)

და **მტერობად** დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა (CB.შესაქ. თვIII. გვ70)

და მიუხდა მას პეტრე და იწყო **ბრალობად** მისდა (მთ.6.22)

აწ რომელა ვსტიროდი **აბეზრობასა** შენსა,ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისა(მ.სწ.120,22)

ერსა ჩემსა ზედა უბრძანო ტყუენვად და **ავრობად**(I.ეს.10,6)

აუგ და დუხჰირ არს...მსოფლიოდსა დღესა **სერობისა** მისისასა გლოვად და **მწუხარებად** და ტირილი(მ.სწ.167,39)

რაითა დაავიწყდეს **გლახაკობად** და **სალმობად** არღარა მოეცენოს(იგ.სოლ.31,7)

შემუსრა **გულფიცხელობითა** მათითა(ზირ.ო.16,11)

რომელსა მტერი ესუას და **გულძვობა** ეპყრას გულსა შინა თვსსა(მ.სწ.27,19)

მოწამე არს თევზთაძცა იგი **ნადირობა**(კ.იერ.აღდგ.166,19)

ყოველი ხატი **ერისკაცობისა** შეურაცხ-უყოფიეს(ბალ.51,24)

არა ვალთ ჩუენ **ვერაგობით**(II.კორ.4,2)

კვრიობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისა(ი-ე.45,26)

ლალობა იგი მათი ყურთა ჳელის შესასხმელ არნ(ზირ.ო.27.15)

უკუეთუ ვინმე იხილო...**ლალობად** ტრაპეზსა ზედა(ი-ე.37,28)

არა წარვიდა ჩვეულებისაებრ კითხვად **ზმნობათა**(რიცხ.24,1)

სიმშვედ სიბერესავე დანერგულ არს და **თავკედლობა** და სილაღე

სიჭაბუკესა(მ.სწ.205,13)

არა იციან **მაძღრობა**(I.ეს.56,11)

ნუუკუე დამძიმდნენ გულნი თქუენნი შუეებითა და **მთვრალობითა**(21,34)

ნებიერობა ცუდ იქმნეს(მ.სწ.259,7)

ჳელითა უპყრია ვითარებად ორთაძვე მათ: **სიცივე-წყლისაგან**, და **ნოტიობა** -

ჳაერისაგან(ბ.კეს.ექუს.დღ.60,16)

არა ვაგრძნე **ობლობა** რადთურთ(I.ეს.47,8)

თჳნიერ რომლისავე **წყალობისა** და **რიდობისა**(ესთ.13,6)

არავინ მათგანმან კაცმან გემოდ იხილოს **სერობისა** მისგან ჩემისა(ლ.14,24)

მასმინე მე **გალობა**(ფს.50,10)

მოიგოს კაცმან... სარწმუნობა მართალი და **უზაკუველობა**(მ.სწ.286,26)

- **ობა** სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს : ა) არსებით სახელთაგან „რადთა გიორგის დაუტეოს **გმობა**?“ (ცხოვრ.იოვ.და ეფთჳ9,2)

ბ) ყველა გვარის მიძლეობათაგან „განქარდა დღეს წყევისა იგი **დაშჯილობა**“ (სასულ.პოეზ) ,

„დღენი ჩემნი წარჳდეს **მყრალობასა** შინა“ (იობ.17,11)

„რამეთუ მოიზიდვიდა **სახელგანთქმულობა** კაცისა მის“ (ზარზ.166,25)

გ) ჳედსართავ და რიცხვით სახელთაგან მაგ: „მონიჳე ნაყოფთა **უხუება** და იეფობა“

„რომელ არს **ერთობა** და მშვიდობა“ (ანტიოქ.50,35)

დ)გასუბსტანტივებული ზმნის ფორმებისაგან „პური ესე ჩუენი არსებობისაჲ მომეც ჩუენ დღეს“(მთ.6,11)

სი-ე აფიქსთა გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია.

და ჰკითხა მათ:ვითარ ხართ? და ჰრქუა მათ: **სიმრთელით** არსა მამა თქუენი

მოხუცებული,რომლისა სთქუეთ ჯერეთ **სიცოცხლე**?(CB.შესაქ. თვ.XLIII გვ257)

მშვდობასა მოიქცა **სიმწარე** ჩემი (O.ეს.38,17)

ფრიადი **სიგრილე** იხილვების ჩუენ შორის(ი.ე.15,20)

ვაბრალობდეთ **სიდუხჭირესა** აუგთა ჩუენთასა(მ.სწ.273,11)

ყოველი **სიბოროტჳ** უმცირეს არს სიბოროტსა მას დედაკაცისასა(ზირაქ.25,17)

იყო ჯორი იგი...მანკიერი და მათ არ იცოდეს **სიმედგრე** მისი და ზნოანებაჲ(ი-ე.48,27)

სიმშვდე სიბერესავე დანერგულ არს და თავკედობაჲ და **სილაღე**

სიჭაბუკესა(მ.სწ.205,13)

დაადუმა უფალმან მისმან **სიბრძნე** მისი(იოზ.34,17)

ცისკარსა მსგავს არს **სიყრმე** შენი, და სამხარსა - **სიჭაბუკე** შენი, და მიმწუხრსა მსგავს არს **სიბერე** შენი(მ.სწ.257,6)

შეუდგნენ **სიბილწესა** გულნი მათნი(I.ეზეკ.33,31)

მოჰხედე **სიგლახაკესა** და ჭირსა ჩუენსა(O.ნეემ.9,32)

ფრიადი **სიგრილე** იხილვების ჩუენ შორის(ი-ე.15,20)

ქრისტემან დაგაჯეროს შენ და სხუათა ყოველთა **სიდასტურჳ** ჩემ გლახაკისა აღთქმულისა მისთჳ(ლიმ.75,2)

ქმნა **სიმართლჳ** წინაშე უფლისა(O.IV.მეფ.14,3)

ვაბრალობდეთ **სიდუხჭირესა** აუგთა საჩუენთასა(მ.სწ.273,11)

ყრმამან რაჲ დაუტევის **სიიწრე** საშოჲსაჲ და იხილის ფართოებაჲ და ნათელი სოფლისაჲ(ბალ.153,35)

სილირწჳ და ურცხვნოებაჲ ეშმაკისაჲ უფროჲს არს **სილირწესა** ძაღლისასა, რამეთუ ძაღლსა ოდეს კაცი შეჰრისხნის, მუნთქუესვე ოდენ გარე განვიდის, ხოლო ეშმაკი ძნიად განვიდის შერისხვითა(მ.სწ.273,36)

რაჲ არს **სიმაგრჳ** მათი და **სიმტკიცე**?(O.ივდ.5,3)

აროდეს დაშურენ იგი **სიმალითა**(ბ.კეს.ექუს.დღ.15,22)

განამრავლჳ ჩემ თანა **სიმდაბლე**(O.II.მეფ.22,36)

კაცსა, რომელსა მოჰსცეს მას ღმერთმან **სიმდიდრე** და ნაყოფი და დიდება(ო.ეკლ.6,2)

არა იცოდეს **სიმედგრე** მისი და ზნოანება(ი-ე.48,27)

სიმეწამულე სამოსლისა მისისა ბოსორით გამო(I.ეს.63,1)

ერისა **სიმრავლე** ფრიადი იყო მუნ(ლ.6,17)

სიმრუდე კირჩხიბისა ბუნებთ არს(მ.სწ.148,10)

სამკაულისა წილ თავისა **სიმტიერე** მოგიჯეს(ო.ეს.3,24)

მოვაკლინო თქუენ ზედა **სიმლიერე**(ლევიტ.26,16)

სიმცირე დღეთა ჩემთა მითხარ მე(ფს.101,24)

ვითარცა **სიმძაფრე** წყლისა(ო.იგ.სოლ.21,1)

რომელთა ვიტვრთეთ **სიმძიმე** დლისა და სიცხე(მთ.20,12)

ჭამეთ და სუთ **სიპოხე** თქუენი(ო.ნემ.8,10)

სიფართო იგი ბჭისა მის ათ წყრთა(ეზეკ.41,2)

ყრმა ზამთრის **სიცივესა** იქცევინ შიმუელი(მ.სწ.300,1)

სიბრძნე ამის სოფლისა, **სიცოფე** არს წინაშე ღმრთისა(I.კორ.3,19)

დაიცევ უმანკობა და იხილე **სიწრფელე**(ფს.36,37)

განახლდეს ვითარცა ორბისა **სიჭაბუკე** შენი(ფს.102,5)

უკუეთუ ცვალოს...ვეფხმან **სიჭრელე** თვისი(I.იერემ.13,23)

ა)სი-ე აფიქსი სპეციფიკურია ვითარების ზედსართავ სახელთათვის; მაგ: არა დიდ არს **სიდიდე** სასწაულისა(ზარზ.169,19)

ბ)იშვითად წარმოქმნიან აბსტრაქტულ სახელებს არსებით სახელთაგან ან ისეთ ზედსართავთაგან,რომლებიც ძველ ქართულში არსებითი სახელის ფუნქციით იხმარებიან;მაგ: „ნუცა **სიჭაბუკესა** შენსა განჰვაჭრი“(ჰაბო.70,19)

გ)საშუალი გვარის ზოგიერთ მიმღეობასაც;მაგ: არა ერიდების **სიმყრალესა** მას(ბოლნ.8)

აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად **სი-ე** პრეფიქს-სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება **სი-ო** აფიქსები მაგ. ; „რად ეგოდენი **სიტკბობა** გაქუს“(ჰაბო.73,21)... როგორც ჩანს **ეზა**, **ოზა** და **სი-ე** აფიქსები აბსტრაქტულ სახელებს ერთნაირად აწარმოებს.

ამრიგად, მოტანილი მაგალითები ცხადყოფს რომ, აბსტრაქტულ სახელთა უძველეს საწარმოებელ აფიქსად პრეფიქს-სუფიქსია მიჩნეული. შეინიშნება, რომ ახალთან შედარებით ძველ ქართულში სი-ე ტიპის წარმოებას უფრო მეტი ძალა ჰქონდა, თუმცა არც სუფიქსების(-ება, -ობა) გამოყენება წარმოადგენს იმვიოათობას. აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნის მხრივ თუ შევადარებთ ძველსა და ახალ ქართულს, საგრძნობი სხვაობაა მათ შორის:

ა) აბსტრაქტულ სახელთა დიდი ნაწილი -ება სუფიქსით იწარმოება, იგი უპირატესად იერ-ზე გათავებულ ზედსართავებთანაა გამოყენებული. ამასთან დასტურდება -ება სუფიქსი ხმარება იმ ფორმებთან, რომლებიც ახალ ქართულში -ობა სუფიქსითაა წარმოდგენილი. გვაქვს ასევე პარალელური ფორმები -ება და -ობა სუფიქსით წარმოებული.

§.II. წინა ვითარების სახელები

ქართულში საკმაოდ პროდუქტიულია სახელთა ფუძეებისგან ახალი სახელის წარმოება **ნა-არ**, **ნა-ევ** პრეფიქს-სუფიქსებით. აფიქსთა ეს ორი წყვილი ერთი და იმავე მნიშვნელობის ახალ ფუძეებს აწარმოებს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ გარკვეული ფუძეებისაგან წარმოების შემთხვევაში შეიძლება ერთი წყვილი იყოს გამოყენებული, ფუძეთა სხვა წყებისაგან წარმოების შემთხვევაში კი - მეორე წყვილი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე ფუძისგან ახალი ფორმა წარმოიქმნება და ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

ნაწარმოებ ფუძეთა მნიშვნელობა საკმაოდ გამოკვეთილია; ისინი რაიმე სახის ყოფილობას გამოხატავენ. ასეთი სახელები წინავითარების სახელითაა ცნობილი ქართულ გრამატიკაში და საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული მაგ:

ჭამეს ყოველთა და განძღეს და აღიღეს ნეშტი იგი **ნამუსრევი** (მთ.15.37)

არა შეიწყნარებს იგი გუშინდელსა ჭამულსა, დაღაცათუ მიხუდეს იგი **ნაჭმევსა** თვისსა(ბ.კეს-ექუს.დღ.126,9)

გამოვედ მე ბჭესა მას **ნალუარევისასა**(ო.ნემ.2,13)

ჭურჭელი რომელსა შინა ღვინოდ შთაისხას, **ნალვინევი** არს(მ.ცხ.გვ226)

რადთა დაიცვას **ნამუშაკევი** თვისი(მ.ცხ.გვ297)

სწადიან განძღომად **ნაბიჭევისა** მისგან, რომელი გარდამოვარდის ტაბლისაგან(C ლ16,21)

ვჭამ პურს **ნაბოძვარსა** ღმრთისასა(მ.ცხ.172გვ)

ჯორცთთა მათთა ზედა არა განიკუთნენ **ნაბძარნი**(ლევიტ.21,5)

ჭამა ერმან მან **ნაკერპავი** იგი მათი(რიცხ.25,2)

განეყენენ იგინი ჭამად **ნაზორევთაგან** კერპთაჲსა(საქ.მოც.15,20)

ცხოვარი იგი ქრისტჳსი **ნამგლევ** იქმნა(ბ.კეს.40თვის.121,7)

რომლისა-იგი **ნამუშაკევი** ახარებს შორიელთა და ახლობელთა(ი-ე.15,12)

ნამწევავი არა მიჭამიეს შობით ჩემითგან(ო.ეზეკ.4,14)

იპოოს ჯელსა მისსა **ნაპარევი**(ო.გამოსლ.22,4)

ნარისუვეითა ტარიგთა ჩემთაჲთა განტფებოდეს ბეჟნი მათნი(იოზ.31,20)

ისმის ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა **ნაქმარი**(ქ.ცხ.97,8)

ამრიგად, შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ ყოფილობის ფორმები თანამედროვე ქართულში უფრო მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე ძველში. სახელის ფუძისგან ნაწარმოები წინავითარების ფორმათა უმრავლესობა გაფორმებული ფუძეებითაა წარმოდგენილი, მაგრამ დასტურდება ოდენ **ნა-**პრეფიქსიანი ვარიანტებიც. ამგვარი წარმოება ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი, ასეთ ფორმებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის გავლენის შედეგია მაგ: **ნა-აბჯრი**, **ნა-ვახშმი**.. ოდენ **ნა** - პრეფიქსიან წინა ვითარების სახელთა ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელი ჩანს ზმნური სემანტიკა მაგ; **ნა-ხიზნი**, **ნა-სტუმრი**...

§. III ქონების სახელები

ქონების სახელებს აწარმებს შემდეგი სუფიქსები- **იან**, **-იერ**, **-ოვან**, **-ოსან**, **-ედ**, **-ა**.

ძველ ქართულში **-იან** აღნიშნავდა წარმომავლობას, შემდეგ მიიღო მან კუთვნილების და ვისიმე მიმდევრობის გაგება. იგი ძველ ქართულში იშვიათად იხმარება. ამ ნაკვს ენა ივსებდა სხვა სუფიქსების დახმარებით. განსაკუთრებით ხშირად მის ადგილას ძველ ქართულში **-იერ**, **-ოვან**, **-ოსან** იხმარებოდა.

-იან-ის პირვანდელი სახე **-იან** უნდა ყოფილიყო. ამას მაგალითებიც ადასტურებს, მოვიყვანო რამდენიმე მათგანს:

სიტყვა შენითა **ოქრეანითა** **ოქრეან** ჰყვენ მორწმუნეთა სულნი(სას.პოეზ.134,11)

დღესა პარასკევსა ვიხილეთ გემოდ სიკუდილისა **სხამეანი**(მამ.სწავ.311)

და ჰამბავი მოჰდა ვითარმედ ბაღდადი **აგრეანითა** დაიპყრესო(ისტ.ქრესტ.270,6)

ლოცვა **ბიწიერი** და **აუგეანი** შეურაცხ არს წინაშე ღმრთისა(მ.სწ.167,1)

დაეშწოს იგი **ბიცოანსა** ქუეყანასა...**მარილოანსა**(ო.იერემ.17,6)

-იან სუფიქსი დაერთვის, როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებსაც. **-იან** სუფიქსი აქტიური მაწარმოებელია ქონების სახელებისა, როგორც მარტივფუძიან, ასევე რთულფუძიან სიტყვებთან. შეიძლება დაერთოს არსებით, ზედსართავ, რიცხვით ნაცვალსახელებს და გამოხატავს მქონებლობას. **-იან** სუფიქსი იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება სა-ო კონფიქსის ნაცვლადაც: ინტერესიანი...

-იერ სუფიქსის ხვედრითი წონა ძველ ქართულში იმდენად დიდი იყო, რომ, გარდა სახელებისა, უხერხულად არ მიაჩნდათ მისი დართვა ზმნის პირიან ფორმაზე. ასეა მაგალითად, წარმომდგარი ძველი ქართულის სიტყვა **მაქუსიერი** (მაქუსიერება აქედანაა მიღებული). მაქუს ზმნაა, რომელსაც ერთვის **-იერ** სუფიქსი და ამათ ემატება **-ება** სუფიქსი და ვღებულობთ ფორმას **მაქუსიერება**. შდრ. სახიერი-სახიერება, ბედმიერი-ბედნიერება, გონიერი-გონიერება....

ღაღადებს და უჩუენებს მამისა **მაქუსიერებასა** და მოაქსენებს მერმისასა(ბოლნ.41,22);

ქონების სახელებს აწარმოებს აგრეთვე სუფიქსი -**იერ**.

ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაისა მეტყვი მე **სახიერთ?** (მთ.19,17) ;

იყო ვინმე კაცი წყლითა **მანკიერი**(ლ.14,2);

არა მოაკლო მორბედმან სრბისაგან თვისსა, ვითარცა ცხენმან **ოფლიერმან** ჳვვილსა შინა მისსა და მთიებმან ცასა შინა(იერ.8,6);

დაამტკიცა ქუეყანასა ზედა... მეუფე მეუფეთაჲ... **ჟამიერი** და უკვდავი(მრავ.297,28);

ფასნიერნი ძნად შევიდნენ სასუფეველსა ცათასა(ბოლნ.70,2);

იყო საწუთროსა ამას **ბედნიერ** და დიდებულ(სინ.11.44);

წიაღსავალი იყოს **ჳამიერისაჲ**(I,ეს.11,15);

შექმნა ქუეყანაჲ **ნაყოფიერი** ბიცად(ფსლ.106,34)

ცოლიერი კაცი მარადის ჳირსა და ურვასა შინა არს(მ.სწ.120,32)

შვილი **გონიერი** მორჩილ არნ მამისა(იგ.სოლ.13,1)

შემთხუევასა პირისასა საცნაურ არს **გონებული(გონიერი)**(ზირ.019,26)

თჯნიერად სიტყვსა სიძესაჲსა(მთ.5,32)

მოირო ჳური და **თხიერთა** წყალი(დაბ.0.21.14)

ყოვლითავე **კადნიერ** ვარ თქუნ შორის(II.კორ.7,16)

რომელსა ედგას ვერძი უბიწოდ საარვესა თვისსა და მან **ბიწიერი** შეწიროს ღმერთსა(მ.სწ.167,24)

შჯული **სულიერ** არს, ხოლო მე ჳორციელ ვარ და განფრდილ ცოდვასა შინა(ჳრომ.7,14)

ჳურჳელსა შინა **ტყავიერსა**, რომელსაცა შინა იყოს მას შინა ნიში კეთროვნებაჲ(ლევიტ.13,52)

-**ოვან**: -ოვან სუფიქსი ძველ ქართულში ქონების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო. „იგი ნაწილობრივ ფარავდა -იან სუფიქსის იშვიათ გამოყენებას: ბევრ შემთხვევაში, როცა დღეს -იან სუფიქსს ვიყენებთ, ძველად მას -ოვან ენაცვლებოდა: ტჯნოვანი - ტჯინიანი“ (იმნაიშვილი, 1956: 434).

განაძლიეროს იგი სიმართლითა და **ჯეროვანებითა**(I ეს.9,7)

არა იყოს მის თანა.. **მღიერიანი** ანუ **მეფხანეანი**(ლევიტ.22,23)

ემოსა სამოსელი **მწიკულევანი**(0.ზაქ.3,3)

უჩუენნეს მას ორნი ნავნი **დიდროანნი** მდინარესა შინა(მ.ცხ.გვ 71)

განავლინონ ბანაკისაგან ყოველი **კეთროანნი**(C.რიცხ.5,2)

სხუად არნ სიზმარი მათი და სხუად არნ **კაეშნეანთა** მათ და მუცელ-
ქსნილთა(გრ.ნოს.კაც.აგებ.174,4)

მისთვის დაებადა გუამი მისი ამასა სახესა ზედა, რაფთა იყოს იგი
ქმეან(გრ.ნოს.კაც.აგებ.158,16)

ნურას **იჭუეულ (ექვიანი)** ხარ, არამედ უეჭუელად ეზიარებოდე(ლიმ.47,4)

იყო უნიშნოდ იგი ლაბანისა, ხოლო **ნიშნიანი** იგი იაკობისა(O.დაბ.30,42)

ქუეყანად, რომელსა ზედა არღარად სავენებელი იყოს, არცაღა ეკალი...არცა **კლდოანი**
და ქვიანი(მ.სწ.125,10)

რაჟამს იხილე ხენი ველურნი...**ყუავილოანნი** და უყუავილონნი(ბ.კეს.ექუს.დღ.75,24)

მისცეს...ჯუარს-ცუმისა ხატი **ცკლოანი** დიდი(ი-ე.23,1)

გან-მცა-რყუნა გონებად მჭურვალეებისა შთასადინელმან მან **ლარეანმან**, რომელსა
ჰრქვან კოკი(გრ.ნოს.კაც.აგებ.227,21)

შთაგორდა **ლერწმოვანსა** მას მახლობლად წყაროს(თევდ.553)

იყო დიდად **თივლოვან** ადგილი იგი(C.6.10)

და აჰა ესერა **კეთროვანი** ვინმე მოუხდა(მთ.8.2)

უმცირეს არს გუამითა დიდთა მათ შორის **გუამოვანთა** (გრ.ნოს.კაც.აგებ.152,29)

წარაჩინა ყოველი იგი ერი **ჭაბუკროვანი** ძეთა მათ ისრაელისათა(O. IIმეფ 10.9)

ხოლო მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რაითა ი და ყვნეთ სრულყოვლად
ცოცხალ და არარაით **ნაკლულევან**(იაკობ სამოც.1.4)

სადა იყვნენ მაშინ სანოვაგენი და საშუებელნი **გემოვანნი**(მ.სწ.94,6)

არცა დევთა **გესლოვანთანი** ერეოდეს კბილნი(სიბრ.სოლ.O.16,10)

ვენაჯოვანსა შენსა არა სთესო სხუა ფერი თესლი(ლევიტ.19,19)

მოჭამენ ვენაჰნი თქუენნი და **ლელოვანი** თქუენი და **ზეთისხილოვანი**
თქუენნი(I.იერემ.5,17)

იუდა განიმრავლა ქალაქები **ზლუდოვანი**(ოვსე.O.8.14)

შეითქუნეს ლელესა მას **მარილოანსა**(დაბ.O.14,3)

მთანი დიდ-დიდნი და **მალნაროვანნი** იხილნი მრგულად და
წყლტუდ(ბ.კეს.ექუს.დღ.91,23)

მარცუალნი არა დაეთესნიან ქუეყანასა **ბიცოვანსა**(გრ.ნოს.კაც.აგებ.220,12)

ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლთა აღისადათა **მაყულოანით** გამო(გამოსლ.ო.3,2)

იხილა შორის ლედჯ **ფურცლოვანი**(მრ.11,13)

იყო დიდად **თივლოვან** ადგილი იგი(ი.6,10 C)

ახლის-პიროვან არს და ძვრ-ძვრად იგუემების(მთ.17,15)

განზომა სივრცე იგი ეზოდა მის **აეროვნისა** მისგან ბჭისა შინაგანისა უსართულოდ მიმართ(I.ეზეკ.40,19)

ნაცვლად საყოფლისა მის მყუდროდასა და დაწყნარებულისა მიიქეც სამკვდრებელთა მათ **ამბოხოანთა** და ურიდად განაცხრომელთა(მ.სწ.120,28)

ყოველნი ბანაკნი **ანგროვანთა** ჩუენთანი წინაშე შენსა არიან და ივმიე იგი(ო.ივდთ.3,3)

მივიდა დავით....მთასა მას **არმუროვანსა**(I.მეფ.23,14)

ოდესმე ისარი მიემთხვის ჯაჭუსა განხეულსა და განეწონის გუამსა და მოაკუდინის **ახოანი** მბრძოლთაგანი(მ.სწ.279,29)

მივიდა ვინმე ბერი...მცირესა მას **ზადოანსა**(მ.ცხ.381)

შეჰგავს მონაზონსა, რადთა არა მოცალე იყოს... არცა წყაროებისათვის კეთილად აღმომდინარესა ანუ სამოთხეთათვის და **ბორტნოანთა** და ფერად-ფერადთათვის მსხალთა(მ.ცხ.გვ79)

და ამის ზღვსა მეწამულისაგან ათორმეტი წყაროდ და მოჰრწყავს იგი ფრიადასა **ფინიკოვანსა**(ამონ.206,18)

გამოჩნდა ველი.... **მწუანვილოვანი**(სიბრძ.სოლ.19,7)

კაცსა **ენოვანსა** არა წარემართოს ქუეყანასა ზედა(ფს.139,12)

იქცეოდა იგი **ბორცოვანსა** მას(ლიმ.119,28)

მთათა ზედა **ველოვანთა** აღიღეთ სასწაული(I.ეს.13,2)

სწავლისათვის... **მცოვნისა** გარდასრულისა, რომელი თანამდებ იყოს საშუელისათვის(ო.ზირ.42,8)

მყის შეიმოსნეს თავნი მთათანი და განემზადნეს **მტილოვანნი**(ბ.კეს.ექუს.დღ.75,14)

ყოველი ბორცუნი **ნერგოვან** იყენენ(ო.ამოს.9,13)

დაშეთეს...ვითარცა ხილის-საცავი **ნესოვანსა**(ო.ეს.1,8)

ვითარცა-იგი შენებული სახლი **სათხვპლოვანი** ჟამსა ძვრისასა არა დაირღვის(ო.ზირ.22,19)

გიქმნეს შენ სახლი **სერტყოვანნი** ჭალაკთაგან ქეტიმისთა(ო.ეზეკ.27,6)
შუბლი იგი უშუერადრე გამოუქმნიეს **ჯელოვანთა** მათ(ფლკტ.150,30)
ხანდახან -**ოვან** სუფიქსის წინ **რ** გვხვდება, რომლის დანიშნულებაც უცნობია.
მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს,რომ სუფიქსი -**ოვან** გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს.
ძველი ქართულში პროდუქტული იყო -**ედ** სუფიქსი კუთვნილების სახელთა საწარმოებლად.
და დაჰსხნე სიტყვიერსა ზედა მსჯავრისასა ფეხუნი **ჯაჭუედნი**, ორთავე კიდეთა ზედა სიტყვიერთასა დაჰსხნე(შესაქ. C. თვ XXVIII. გვ 481)
ეჟუანნი და **ყვავილელი** ქუე ქუმოსა ზედა ქუეშეთსაცმელისასა გარემოს (შესაქ.C .თვXXVIII. გვ483)
ფესუედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ(ფს.44,14)
შევმუსრო სახლი იგი გარემო **ფრთეედი** სახლსა ზედა საზაფხულოსა(გამოსვლ ო..3,15).
თქუენ და **შარავანდედი** თქუენი წარსწყმდეთ(ო.ი.მგ.12,25)
აღზურთნებოდა იგი **კამარედად**(ლიმ.19,18)
მოიხუნეს... ექუსი ურემი **კარვედი**(რიცხ.7,3)
ვითარცა ვაზრი და მანველი და ისარი **პირედი**(იგ.სოლ.ო.25.18)
იყო... სახლსა მას **ქორედსა**, რომელ იყო სახლსა შინა უფლისასა(I.იერემ.20,2)
მოვიდა იოსეფ არიმათიელი **პატიოსანი** მზრახვალი(მრ.15,43)
მოვიდა ერი **მახლოსნები** და **წათოსნები**(მრ.14,43)
რომელი კრულ არს,სტკივის,და **ბორკილოსანი** იგრძნობს(მ.სწ.276,17)
ცუდთა მათ , რომელთა არა აქუნ,არა ჰრქვან **ტვირთოსანთა** მათ...(ისტ.ქრესტ.282,38)
ვითარცა **რქოსნისა** გუელისაჲ განეწონო მას(ო.იგ.სოლ.23,32)
მენი იუდაჲსნი **ფაროსანნი** და **ლახუროსანნი** (M.I.წმტ.12,21)
ცათა შინა წინაშე მალლისა **გვრგვოსან** იქმნეს(მ.ცხ.გვ120)
მრავალნი **ფიჭოსანნი**...მონაზონნი ჩამოიტანნა(ი-ე.20,20)
ცულოსანნი მოუკდენ მას, ვითარცა მკაფელნი ხისანი(ო.იერემ.46,22)
განზიდვად სცეს ორთა **ცხენოსანთა** ამიერ და იმიერ(ქ.ცხ.212,8)

-ა სუფისით ნაწარმოები ქონების სახელები. -ა სუფიქსზე დაბოლოებული სახელები ქართულში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, მაგრამ ეს -ა ყოველთვის სუფიქსად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევა.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში ვერ მოექცევა უცხო წარმომავლობის ა ფუძიანი სახელები, არის სახელთა ჯგუფი, რომელთაგანაც ა-ს ცალკე გამოყოფა არ შეიძლება, მაგალითად: თელა, კენკრა და სხვა, რადგან ეს -ა ფუძისეულია (შანიძე, 1973: 121). ცნობილია, რომ -ა სუფიქსი შეიძლება აწარმოებდეს: კნინობით, ქონების, თვისების აღმნიშვნელ და მსგავსების აღმნიშვნელ სახელებს (შანიძე, 1973: 121,122,125, მანჯგალაძე, 1956: 171, პაპიძე, 1974: 50).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს... აწარმოებს კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ, გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2004: 34). ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ მ. ქამადაძის დაკვირვებასაც: „-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი საზღვრულდაკარგული ფორმა ჩანს: ონაგირ-ა, აკვან-ა ტიპის სახელებში იგულისხმება საზღვრული წევრი: მთა, სერი, გორი... ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს (ქამადაძე, 1992: 20-21.).

ამრიგად, წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ. რომ ქონების აღმნიშვნელ აფიქსთაგან ენის ისტორიის სხვადასხვა დროს თითოეულის სამოქმედო ძალა სხვადასხვაგვარი იყო. ძველ ქართულში ნაკლებ განვითარებული სუფიქსი -იან და -ა ახალ ქართულში პროდუქტული გახდა. ახალ ქართულში ხმარებული -ოვან, -ოსან, -იერ, -ედ სუფიქსიანი სახელები ძველი წარმოებისაა. ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ -ოვან სუფიქსი უფრო პროდუქტული იყო ძველ ქართულში. იგი ნაწილობრივ ფარავდა -იან სუფიქსის გამოყენებასაც კი.

§. IV უქონლობის სახელები

უქონლობის სახელების შინაარსის გადმოსაცემად ქართულ ენაში გამოიყენება უ-ო, უ-ურ, (//უ-ულ), უ- აფიქსები (შანიძე, 1973: 126). 24 ქონების სახელთა ანტონიმებია უქონლობის სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ უქონლობას ძირეული ფუძით აღნიშნული საგნისას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორი ტიპისაა: უ-ურ და უ-ო მაწარმოებლიანი. ესენი ერთია წარმოშობით, მაგრამ უფრო ძველია უ-ურ, დღეს უფრო მკვიდრია უ-ო, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა (შანიძე, 1973:126).

უ-ურ (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით: უ-ულ) გვხვდება რამდენიმე სახელში: უ-ბედ-ურ-ი, უ-წეს-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი... როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ გზით არსებითთაგან ზედსართავებია ნაწარმოები, ოღონდ უ-ფსკრ-ულ-ი(რომელიც „ფსკერ“-ისაგან არის ნაწარმოები) და უ-ჟმ-ურ-ი (უ-ჟამ-ურ-ი) არსებითად არის ქცეული. ასეთი წარმოება ორიოდ შემთხვევაში ზედსართავთა ფუძეებისაგანაც გვხვდება: კეთ-ილი - უ-კეთ-ურ-ი, წმი(ნ)და - უ-წმი(ნ)დ-ურ-ი. უ-ო ჩვეულებრივი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა არსებითთაგან: უ- გულ-ო, უ-კბილ-ო, უ-ხელ-ო, უ-წყლ-ო... ზოგ შემთხვევაში მსგავსი წარმოების სახელები მხლებელთაგანაც გვხვდება: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო (=რომელსაც მსგავსი არ ჰყავს, ვისაც ტოლი არა ჰყავს).

უ-ურ უფრო ძველი მაწარმოებელია. გვხვდება მარტო უ პრეფიქსით წარმოებაც. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უ-ო და უ-ურ მაწარმოებლები წარმოშობით ერთია, განსხვავება მათ გამოყენებაში ქრონოლოგიურია.

უ-ურ სუფიქსური წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. უ-ო მაწარმოებლიანი სახელები კი უფრო მრავლადაა.

და ჰქმნნე მოქლონნი ძელთაგან **ულპოლველთა** ხუთნი ერთსა სუეტსა ერთკერძო კარვისა თვXXVI C გვ467

შემუსრვაი და **უბადრუკები** არს გზათა მათთა(იაკობ მოც.3.16)

უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოარჩინა ღმერთმან(I კორ.1,28)

უბადო იქმნა ყოველი ქუეყანა(I იერემ.4,20)

აღსუეს საჯედარსა **უბელოსა**(მ.ცხ.177 V)

არა შჳამოთ მისგანი **უგბოლველი**(გამოსლ.0.12,9)

ისმინე ჳმა **უგუნცოდსა**(ესთ.0.14,19)

ესმოდეს ესე ერსა, ცოფსა და **უგულოსა**(იერემ.I.5,21)

აოჯრდა და **უდაზნო** იქმნა(ეზრა.I.2.28)

რომელ არს მეუფე მშჯდობისა, **უმამო, უდედო**, ნათესავმოუკსენებელი(ჰებრ.7,3)

ვარდი იგი იყო **უეკლო** უკუანადკნელ შეეყო ეკალი ბუდესა თანა ყუავილისასა(ბ.კეს.ექუს.დდ.69,30)

ბრძანებისაგან შემოკლებულისა ქუეყანა, ჳმელი და **უთესლო**, აღიდრა მყის ღმობად(ბ.კეს.ექუს.დდ.65,2)

ბრძენმან გულითა შეიწყნარნის მცნებანი, **უთმინოსა** ბაგითა ბრკუმით

ვალნ იგი უვალთა ადგილთა და **უკაცურთა** და ძნელთა ღადოთა(მ.ცხ.175V)

თავი არა **უკიდარო** ყოს და სამოსელი მისი არა მოიბძაროს(ლევიტ.G.21.10)

ტკბილი იგი და **ულმობელი** ნაკლულეებასა იყოს(იგ.სოლ.0.14.24)

უმადლოდა სასოება, ვითარცა ჳამთრისა თრთვლნი, დადნეს(სიბრძ.სოლ.0.16.29)

ხოლო მე,ვითარცა კრავმან **უმანკომან**, მიგურასა ჩემსა დაკლვად,არა ვაგრძენ(იერემ.I.11.19)

შეაშთვის სიტყუად იგი და **უნაყოფო** იქმნის(მთ.13,22)

ვითარ წარიტყუნე ხედვისა მიერ **უაღჯროდა** და **უსირცხლოდა** და არა მოიწყალ მხილებული სვინიდისისაგან(ანტიოქ.78,13)

არამედ განწყებით დგას თვსსა საზღვარსა **უნოტოდ, უხორშაკოდ, უმიწოდ** მზუარჭ(ისტ.ქრესტ.256,19)

მასინ იწყო **უჯეროსა** გინებად ვარსქენ(შუშ.150,18)

უგუნურო,ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან(ლ.12,20)

შემდგომად სამისა დღისა მოიწია რისხვად იგი **უგრძნულად**(ლიტ.ქრესტ.208,17)

უგზო არს კაცთაგან და საცხოვართაგან(ო.იერემ.32,43)
 ისმინე ჳმად **უგიცნოსა**(ო.ეს.14,19)
 იგინი **უგულისხმო** იქმნეს და განლაღნე(ო.ნემ.9,29)
 უკუეთუ მოზღუდვილ არიან ანუ **უზღუდო**(რიცხ.13,20)
უჳამლონი და თავშიშუელნი ერთითა სამოსლითა მიმოვიდოდეს(ბალ.73,2)
 იქმნენ ცოლნი მათნი **უშვილო** და ქურივ(I.იერემ.18,21)
 შთასდებდა იგი გოდორსა შინა **უფსკროსა**(Ath.17.23)
უქალაქო ვთქუნეთ იგინი(ბ.კეს.40.თვს.116,15)
 გლახაკნი და **უქონონი** შედყვანენ სახედ შენდა(საკ.წიგ.II.28.21)
 ექმენ **უფერჯოსა** ფერჯ და მწუხარესა თუალ(მ.სწ.174,39)
 გლახაკნი **უსახლონი** შეიყვანენ სახედ შენდა(ეს.I..58,7)
 ენება... შეწირვად **უსისხლოდსა** მსხუერპლისად(ი-ე.39,,14)
 მსგავს არს სახლსა **უსართულოსა**, რომელი მყის დაირღვს(მ.სწ.252,29)
 პირი **უღმრთოთად** დაფაროს გლოვამან **უჳამომან**(ო.იგ.სოლ.10,6)
 იყო **უნიშნოდ** იგი ლიბანისა, ხოლო ნიშნიანი იგი იაკობისა(ო.დაბ.30,42)
 რაჳამს იხილე ხენი ველურნი...ყუავილოანნი და **უყუავილონნი**(ბ.კეს.ექუს.დდ.75,24)
 ამრიგად, უქონლობის სახელები, უ-ო და უ-ურ მაწარმოებლებით გვხვდება. უ-
 ო აფიქსიანი წარმოება უ-ურ აფიქსთან შედარებით მრავალრიცხოვანი და
 გავრცელებულია და ის დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს. უ-ურ
 მაწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს ა) დაერთვის უმარცვლო
 ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს. ბ) ხმოვანფუძიანთაგან დაერთვის
 მხოლოდ ა, ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს.

§.V გეოგრაფიული სახელები

ქართულში გეოგრაფიული სახელები სხვადასხვა წარმოშობის და სხვადასხვა ტიპისაა (შანიძე:1980). გეოგრაფიულ სახელებად მიიჩნევა ქვეყნების, მხარეების, ქალაქების, სოფლების, ზღვების, ტბების და მსგავსი სახელები.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი იქნეს გამოყენებული, ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ახალ ქართულზე, მაგრამ იმ პერიოდის ლიტერატურა, რომელსაც ნაშრომისას ვეყრდნობით მაწარმოებელთა მხრივ შეზღუდულია. როგორც თუმცა ეს მოსაზრება უფრო ახალ ქართულს მიემართება, რადგანაც ლიტერატურა იმ პერიოდისა, რომელსაც ნაშრომზე მუშობისას ვეყრდნობოდით, ამ თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდულია. ჩვენ მიერ დამუშავებულ ტექსტები ყველაზე ხშირად დასტურდება **-ეთ, -ოვან, -ოან მაწარმოებლები.**

დაუტევა **ნაზარეთი** და მოვიდა და დაემკვდრა კაფარნაუმს(მთ.4,13)

ვითარცა დაიქცა **სოდომეთი** და **გომორეთი** და მოსაზღვრენი მისნი(იერ.49,18)

განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას **ასურეთსა**(მთ.4,24)

ძველ ქართულში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად აგრეთვე გამოიყოფა **-ოვან , -ოან** სუფიქსები მაგ:

და მოკუდა სარრა ქალაქსა შინა არიხვეს,რომელ არს **ლელოანთა** შინა, ესე იგი არს ქებრონი ქუეყანასა ქანაანისასა (შესაქ. CB .თვXXIII. გვ.136)

ორედაქციაში გვხვდება **ლელოვანსა** ფორმა

რომელიმე(კერძოდ) არს **ქეოანი**(მ.ცხ.გვ294)

წარვიდა ადგილს **ქვიშოვანსა**(რიფს.174,4)

შემოუდგე წყალი სარწყავი **ფინიკოანსა**(მ.ცხ.გვ76)

ესე ყოველნი შეითქუნეს ჳევსა მარილოანსა, რომელ არს ზღუა მარილთა(შესაქ.XIV.CB.გვ.98)

და მოკუდა სარრა ქალაქსა შინა არიხვეს,რომელ არს ღელოანთა შინა,ესე იგი არს ქებრონი ქუეყანასა ქანაანისასა (CB .შესაქ.თვXXIII. გვ136)

○ რედაქციაში გვხვდება ღელოვანსა ფორმა

რომელიმე(კერძოდ) არს ქვოანი(მ.ცხ.გვ294)

წარვიდა ადგილს ქვიშოვანსა(რიფს.174,4)

შემოუდგე წყალი სარწყავი ფინიკოანსა(მ.ცხ.გვ76)

რომელნი მიისწრაფიედ მალნართა და ოლოვანთა(გრ.ნოს.კაც აგებ.164,4)

მოყვანილი ფორმების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ,რომ ძველი V-XI საუკუნის ენაში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლები ნაკლებ მრავალფეროვანია,ვიდრე შემდეგი პერიოდის ლიტერატურაში.

§.VI ხელობის სახელები

ხელობის სახელებს აწარმებს მე-ე და მე-ურ აფიქსები. არნ. ჩიქობავა ნაშრომში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ აღნიშნავს, რომ პროფესიის აღმნიშვნელი წარმოება ადამიანთა კატეგორიის აღმნიშვნელ პრეფიქსს იყენებს. და ეს სრულად კანონზომიერია: პროფესიათა წარმომადგენელი ადამიანია. ხმოვნთან ვარიანტში მე- ადამიანთა კატეგორიას მხოლოდ მ აწარმოებს, ე ხმოვნის ფუნქცია კი, როგორც არნოლდ ჩიქობავა შენიშნავს, გაურკვეველია (არნ. ჩიქობავა, 1942:169).

ხოლო იყო შემდგომად სიტყუათა ამათ,შესცოდა მთავარმან **მელვინეთა** მეფისა ეგვიპტისათამან უფალსა მათსამეფესა ეგვიპტისასა(CB.შესაქ. თვXXXIX. გვ234)

მემსხვერპლე ღმერთსა მოსპობით,თვინიერ მხოლოსა უფლისა(C გამოსლ.თვXXII .გვ441)

რამეთუ **მეზუერეთაცა** ეგრეთვე გყვიან(მთ.5.46)

რამეთუ ივნეს **მესათხველე**(მთ.4.18)

ნათესავი ბოროტი და **მემრუშე** სასწაულისა ეძიებს(მთ.16.4)

არცა მემავთა,არცა **მეკერპეთა**,სასუფეველი ღმრთისაჲ დაემკვიდრონ(კ.იერ-ნათ.ლისლ.87,14)

ვითარცა ორნი **მეკეცეთანი** შეჰმუსრნე იგინი(ფს.2,9)

მეფესა ჰყუა...სხუანიცა ქალნი, **მემგოსნენი** და **მეჩანგენი**(ბალ.124,4)

ჰგონებდეს **მენავენი** იგი მიწევნასა რომელსამე სოფელსა(საქ.მოც.27,27)

მეაბჯრე მეფისაჲ სამარადისოდ მდგომარე არს მზად წინაშე მეფისა(მ.ცხ.132V)

მივიდა ოდესმე **მეაქლემე** მამისა იოანესა, რადთა წაიღოს ჭურჭლები(მ.ცხ. გვ289)

რომელნი აწ არიან **მებეგრენი** სპარსთანი(ქ.ცხ.172,3)

ჯარსა **მეკალოესა** არა დაუკრა პირი(ტიმ.I.5.18)

იყო ვინმე **მეკრისტონე** ქალაქსა რომელსამე შინა...მოართუა მას ნამარხევად ხუთასი დრაჰკანი დაბეჭდულად და ჰრქუა მას:მიიღე ესე და,ოდეს მიწმდეს მცირედ-მცირედ მომცემდი მე აქადთ (მ.ცხ.384v)

მას ეგონა,ვითარმედ **მემტილწ** იგი არს (ი.20,15)

მეკარესა ამცნოს (მრ.3,34)

არწმუნის მათ მიმსგავსებად სირცხვლსა **მენესტუეთასა** და **მეფანდურეთასა**(ბ.კეს-ექუს.დღ.53,19)

ყვეს სიხარული დიდი ყოვლით **მენოვაგითურთ** შვდ დღე(I.ეზრა.ო.4,63)

ამისნი ვანი არს სვმონისასა ვისამე **მეპრატაკისასა**(საქ.მოც.10,6)

შემძლებელ ვართ.. ვედრებათ **მესაპყრობილეთა** რადთა აუსუბუქონ სატანჯველი იგი მათი(მ.სწ.51,17)

ოდეს **მეკიმილიესა** ახალსა დაადგენედ, წიგნიცა იგი კიმილიასა თანა მიუთუალიან(ლიმ.84,6)

რომელმან განყიდოს რად უმეტეს ფასისა, მისისა რად-იგი ღირდეს, იგი **მეკობრე** არს და უძვრეს ავაზაკთა არს იგი(მ.სწ.52,26)

მესაჯუმილეთა მათ კაცთა ალაგზნეს საჯუმილი(საკითხ.წიგ.45,10)

ფილიმონ ესე ქორანელი, რომელი **მესტვრე** იყო(ფლმნ.გვ298)

კაცნი ვინმე **მეუდაზნოენი**, რომელნი მყოფ იყვნეს მთასა ზედა(ნრს.78,1)

უბრძანა **მეფასეთა**, რომელნი არიან ასურასტანს(ო.ი.ეზრა.2,11)

შეუდევ მას, ვითარცა **მეკუალე**(ზირ.ო.14.23)

ვითარცა **მეკუფხლწ** შემდგომად მსთულებელთა(ო.ზირ.33,16)

უბრძანა **მექულბაგესა** და, მიიღო რად იგი, ჭამის მუნ(ლიმ.115,1)

რაჟამს გამოვლენედ **მეწყლენი**(დაბ. ო.24,11)

რომელმან **მეკამლემან** ... ეტყოდამცა იგი თავსა თვსსა(ბ.კეს-ექუს.დღ.134,15)

იყო ვინმე **მეეტლე**...რომელი-იგი ცხენთ-სარბიელსა მას შინა რბევასა ზედა ცხენტა დგენასა დაეცა(მ.ცხ.394გვ)

თვნიერ... **მევენაჯეთა** და ნავის-მოქმედთა და სხუათა ესევითართა...ლაგრისა დამჭირვად უღონო არს(ი-ე.20,25)

ერთი მათგანი იყო **მემანე** და იქმოდა მძივსა მანისასა(რიფს.166,4)
უბრძანე **მეფასეთა**, რომელნი არიან ასურასტანს(ო.ი.ეზრა.8,21)
შემასხმელნი, **მეფსალმუნენი** მათნი- მამანი და დედანი-ორას(ო.ი.ეზრა.2,65)
ყოველმან კაცმან **მეშურდულემან** დაიპყრეს აღსავალი მათიდა ესროდეს ქვითა მათ
ზედა(ო.ივდ.6,8)
ჰყუა...სხუანიცა ქალნი,**მემგოსნენი** და **მეჩანგენი**(ბალ.124,4)
მისცეს ქრთამი დიდძალი გრძნეულსა **მეწამლესა**, რადთა შეასუას მას წამალი
საკუდინებელი(ლიმ.45,19)
თუალნი იგი **მეწამწამეთანი** აღმოიწყვებოდიან და არავინ იყოს მწყალობელ
მათდა(მ.სწ.93,29)
უბრძანა **მეჭურჭლესა**, რადთა მოიხუენ კიდობანნი იგი(ბალ.33,21)
არცა ვედრებად მიითუალვის და არცა **მეხუეშნე** შეიწყნარების(მ.სწ.281,13)
კმისაგან დოლაბისა **მეჯურღმულესა** არა ესმა რეკად(ლიმ.91,22)
ამრიგად, ხელობის მაწარმოებელი აფიქსების გამოყენება და წარმოდგენილი
ფორმები ცხადყოფს იმას, რომ ამ თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულში
არანაირი განსხვავება არ შეინიშნება.

§.VII ხარისხის სახელები

ხარისხისა ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მატ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შდარებაზე. შედარების დროს გამოსავლად მიღებული ფორმა მიჩნეულია დადებით ხარისხად, რომელთაგანაც ნაწარმოებია უფროობითი და ოდნაობითი სახელები. ცხადია, აქედან გამომდინარე, შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფროობითი, მასზე ნაკლები კი- ოდნაობითი.

უფროობით და ოდნაობით სახელებს თავ-თავისი მაწარმოებლები აქვს; ესენია: უ-ეს და მო-ო. ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმებს გარდა უ-ეს აფიქსებისა წინ კიდევ ჰქონდა ხ (ხანმეტ ძეგლებში) და ჰ (ჰაემეტ ძეგლებში): ხ-უ-დიდ-ღს-ი, ხ-უ-მჯობ-ღს-ი, ხ-უ-ძლიერ-ღს-ი, ხ-უ- მალღ-ღს-ი...ჰ-უ-დიდ-ღს-ი, ჰ-უ-მჯობ-ღს-ი...

ა. შანიძემ ქართველური ენების მონაცემთა შესწავლის საფუძველზე გამოარკვია, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ზმნური წარმოშობისაა: მათი მაწარმოებელი პრეფიქსი უ სხვა არაფერია,თუ არა სასხვისო ქცევის ნიშანი უ, ხოლო ამ უ-ს წინ მდგარი ხ/(ჰ) წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ობიექტური პრეფიქსია.

ამგვარად, პირიანი ფორმები: ხ-უ-დიდ-ე, ხ-უ-ძლიერ-ე მე(შენ) მას იგი და უფროობითი ხარისხის ფორმები ხ-უ-დიდ-ეს-ი, ხ-უ-ძლიერ-ეს-ი წარმოშობით ერთია. ხანმეტობის დროიდან შემოგვრჩა ხანიანი უფროობითის ფორმა სიტყვაში ხ-უ-ც-ეს-ი, რაც თავდაპირველად უფროსს ნიშნავდა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას რომ ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმები სხვადასხვანაირია:

ხ-უ-დიდ-ე

ხ-უ-დიდღს-ი

ბ-უ-ფრ-ო

ბ-უ-ფრ-ო-მს-ი

პრეფიქსთა საკითხი ქართულ ენათმეცნიერებაში გარკვეულია: **ბ წარმოშობით, მესამე ობიექტური პირის ნიშანია, უ - სასხვისო ქცევის.** საინტერესოა რას წარმოადგენს სუფიქსები? - როგორც ივანე იმნაიშვილი აღნიშნავს ისინი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია და უფრო გვიანდელ წარმოებადაა მიჩნეული (ივ. იმნაიშვილი. 1957:442). მაშასადამე უფრო ძველი ფორმაა ბ-უ-დიდ-ე, ბ-უ-ფრ-ო. ამ წყვილიდან ა. შანიძეს ხარისხის მაწარმოებლად მიაჩნია ე .

რად **უსუბუქე** არს განსუენებასა კაცისასა ამის სოფლისა ზრუნვათა და შფოთთაგან(მამ.სწ.91)

სოდომელთა **უმოლხინე** იყოს მას დღესა შინა ვიდრე ქალაქისა მის(ლ.10,12)

რომელ სახარებაჲმან კუალად **უჭეშმარიტე**-რე გმოაჩინა(უდაბნ .87rb)

რაი **უადვილე** არს თქუმად(მთ.9,5)

რომელნი დაებადნეს **უწინარე** კაცისა(შატბ.7)

მძიმე არს ქვაჲ და ძნიად სატჯრთელი ქვჲჲჲ, ხოლო რისხვაჲ უგუნურისაჲ **უმძიმე** არს ორთავე(იგ.სოლ.27,3)

წარმოშობით უფროობითი ხარისხის უძველეს ფორმებადაა მიჩნეული აგრეთვე ისეთი სიტყვები როგორცაა: **უკუანა, უწინ, უაწ.** მართალია, ამ ფორმებში უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი ე(ო) სუფიქსი არ ჩანს, მაგრამ პრეფიქსით უფროობითი ხარისხის ფორმებია.

რაოდენ **უმჯობეს** არს კაცი საცხოვარსა(მთ.12,12)

წყალობაჲ ღმრთისაჲ **უფრომს** არს წყალობასა კაცთასა(მამ.სწ.29)

ყოველი სიბოროტჲ **უმცირეს** არნ სიბოროტჲსა დედაკაცისასა(ზირაქ.25,21)

უადვილეს არს მანქანის-საბელი ჳურელსა ნემსისასა განსვლად(ლ.18,25)

იქმენ **უსამართლოეს** უსამართლომსა და **უანგაჳრეს** ანგაჳრისა(ბ.კეს.ექუს.დდ.99,12)

რამეთუ ესენი **უაზნაურჲს** იყვნეს მათ თესალონიკელთასა(საქ.მოც.17,11)

ნუუკუე **უბრძნეს** ხარა შენ დანიელისა?(I.ეზეკ.28,8)

უზეშთაეს არს პატივსა და დიდებასა სხუათასა(მამ.სწ.210)

აქ მოყვანილი უფროობითი ხარისხის ფორმები მიცემითში იყო დასმული, თუმცა ძველ ქართულში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ამგვარ ფორმებთან ნათესაობითია გამოყენებული. მაგ:

სათნო- ვეყო მე ღმერთსა **უფროს** ჳბოლსა მის ჩჳლისა(ფსალმ.68,31)

შენსა მოკითხვასა **ხუფროს** ბუნებისა კრთებოდა(ისტ.ქრესტ.45,30)

განმბანე მე,და **უფროს** თოვლისა განვსპეტაკნე(ფსალმ.50,7)

მოიგე ესე, რომელი **უტკბოს** თაფლისა არს(მამ.სწ.32) და სხვა.

როგორც ვიცით, ძველ ქართულში გვაქვს ერთმაგი, ორმაგი და სამმაგი ბრუნების შემთხვევები. ერთმაგი ბრუნებისა,ს უფროობითი ხარისხის ფორმები ან ნათესაობითს იყენებს, ან მიცემითს, მაგრამ ორმაგი ბრუნებისას მას აქვს ნანათესაობითარ-მიცემითი ბრუნვის ფორმა. ორმაგი ბრუნების ფორმები ამ შემთხვევაში უფრო ძველ ვითარება სასახავს. მაგ:

მაშინლა ქრისტეანენი სათნო-იყვნა ღმერთმან **უფროს** ჳურიათასა(ევსტ.166,110)

ვითარცა ღმერთი **უფროს** არს ანგელოზთადასა, ეგრეთვე მისი სიტკბოებად **უფროს** არს ანგელოზთადასა(პარხ.786)

უკუეთუ გნებავს ცად ამალღებად ,უსწრვე პირველად და დამდაბლდი ქუეყანასა ზედა **უფროს** ყოველთა კაცთასა და იქმენ **უქუემოეს** ყოველთა კაცთასა(მამ.სწ.206)

უფროობითი ხარისხის ფორმები ზოგჯერ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება და პირდაპირ ზმნას ერთვის. ამ შემთხვევაში ის სახელს ბრუნვაში ვედარ მართავს, და არც დამატებაა წარმოდგენილი. ყველაზე ადრე ეს თვისება **უფრო** -ს აქვს მოპოვებული.

ვინ **უფრო** გიყუარს: ჩუენ ,ანუ ვისდა მითხოვილ ხარ(პარხ.1221)

უფროს უხაროდის მას ზედა(მთ.18,13)

იგინი **უფროს** ღაღადებდეს(მთ.20,31)

ახალი ქართულისგან განსხვავებით ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმებს მიმართებითი ზედსართავებიც დაუბრკოლებლად აწარმოებდა,აგრეთვე ზედსართავის როლში მდგარი მიმღეობებისგანაც კი-.

აწ **უმახლობელჳს** არს ჩუენდა ცხორებად(ჳრომ.13,12)

ძენი ამის სოფლისანი **უგონიერეს** არიან უფროს ძეთა ნათლისათა(ლ.16,8)

უმშუდჳს იყო იგი ყოველთა კაცთა და **უსულგრძელჳს**(ამონ.204,3)

სურვიელსა სმენად უტკბილეს და **უსაწადელეს** აღმოეცენებთან(ანტიოქ.117,13)
რამეთუ არა არიან მკეცნი უმძვნვარეს და **უველურეს** ვნებათა(ანტიოქ.141,8)
და იქმენ **უქუემოეს** ყოველთა კაცთასა(მამ.სწ.206)
უდიდებულეს გყო შენ ყოველთა დაბადებულთა(სას.პოეზ.198,80)
რამეთუ არა ლომი **უმრისხანწს** არს გულის-წყრომისა(სვან468)
რამეთუ ჩუენ **უშეურაცხეს** ვართ ყოველთა კაცთა(პარხ.1086)...
უგუნურწსო ყოველთა კაცთაო(ბაბ.47,19)
არავინ არს **უდასტურეს** კაცისა მთხოველისა, რამეთუ არავინ აქუს გარნა
ღმერთი(ბალ.162,34)
ოდესმე დააცადიან მხილებაჲ, მათდაცა მიმართ, რომელნი **უდაშნეს** და უფროდს
სამართლის და სიტყვის-შემწყნარებელ იყვნინან მამისა შენისასა(ბალ.48,25)
იგი იყო **უდიდებულეს** სახლსა შინა მამისა მისისასა(ო.დაბ.34,19)
უშჯულოდსა ტანჯვასა უგუნური **უვერაგეს** იქმნნეს(იგ.სოლ.19,25)
არა რომელი ცხორებაჲ **უსაჭირველეს** და **უვიწრეს** არს ცხორებისა ამის
ჩემისა(ბალ.122,15)
მალე არს ქარი, ხოლო გულის-სიტყუანი კაცისანი **უმალეს** მისა არიან(მ.სწ.309,5)
მარჯუენწ კელი **უმოკლწს** არს მარცხენესა(ფლკტ.150,29)
არარადთ **უმოლხინესი** პირველისა მის გიორგისი(ი-ე.52,2)
შენ ეცინი კირჩხიბსა და სიბრძნე შენი **უმრუდეს** მისსა არს(მ.სწ.148,9)
წარავლინნა მოწყუედად ყოველთა ჩჩვლთა ყრმათა...ორით წლითგანნი და
უდარესი(მთ.2,16)
შემდგომად მძაფრისა წვმისა **უმცხინვარეს** გამობრწყინდის მზის-თუალისა იგი
სინათლე(მ.სწ.133,1)
განცვვეს იგინი ადგილსა **უმძაფრესსა**(საქ.მოც.27,41)
ნუ უკუე იხილნეს პირნი თქუენნი უმწუხარეს პირთა ყრმათა მათ(ო.დან.1,10)
უმცირეს არს ყოველთა თესლთა(მთ.13,32)
უკუეთუ არს შენ თანა სატანჯველი **უფიცხლწსი** ამისა(საკ.წიგ.II.85,4)
ჰურიასა სძულსა ღორი და იგი **უფლიდეს** მისსა არს(მ.სწ.148,8)
ბუელი ღვინოდ **უტკბილეს** არს(ლ.5,39)

უფროობითი და ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი ერთი და იგივეა. უ-სუბუქ-ე, უ-მართლ-ე და მო-თეთრ-ე, მო-მრგვალ-ე. როგორც უკვე მივუთითეთ უფროობითი ხარისხის ფორმები მესამე (ობიექტურ) პირს უკავშირდება და არაა გამორიცხული ოდნაობითი ხარისხის ფორმებიც რომელიმე პირთან იყოს დაკავშირებული. მისი პრეფიქსის შედგენილობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის წარმოშობით პირველი ობიექტური პირის ნიშანი იყოს (ი.იმნაიშვილი. სახ.ბრუნ.1957)

ძველ ქართულში ოდნაობითი ხარისხი სუფიქსი არის -ე არს რომელიმე იძვრისი, რომელი იწოდების გრძლადი. **მო-მრგვალ-ე** არს ბირთვს სახე(ისტ.ქრესტ.283,22)

ხოლო ტარიგები იგი დაარჩია იაობ და დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი **მო-სპეტაკ-ე** და ყოვლად ჭრელი ტარიგთა შოვრის(დაბ.30,40)

რამე იყო დავით ეხეცეს დღითა, ჰაეროვან და სპეტაკ ჯორცითა, **მო-წაბლ-ე** თმითა, შუენიერ გუამითა და ჯშირ წუერითა(ლიტ.ქრესტ.235,6)

მსგავს არს ფერი მისი იაკინთისა თუალისა რომელი **მო-თეთრ-ე** არნ(თუალთ.61,11)

და არს **მო-წითან-ე** თუალი იგი, რომელ პოვეს ქვისმთლელთა(თუალთ.23,27)

მაშასადამე, ქართველური ენების მონაცემთა შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ზმნური წარმოშობისაა: მათი მაწარმოებელი პრეფიქსი უ სხვა არაფერია, თუ არა სასხვისო ქცევის ნიშანი უ, ხოლო ამ უ-ს წინ მდგარი ხ/(ჰ) წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ობიექტური პრეფიქსია. წარმოშობით უფროობითი ხარისხის უძველეს ფორმებადაა მიჩნეული აგრეთვე ისეთი სიტყვები როგორცაა: **უკუანა, უწინ, უაწ**. არაა გამორიცხული ოდნაობითი ხარისხის ფორმებიც რომელიმე პირთან იყოს დაკავშირებული. მისი პრეფიქსის შედგენილობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის წარმოშობით პირველი ობიექტური პირის ნიშანი იყოს.

გ.VIII წარმომავლობის სახელები

წარმომავლობის სახელებს აწარმოებს სუფიქსები: -ელ; -ურ; -იურ; -ეულ; -დელ; -იონ (შანიძე, 1973: 126). -ელ: სუფიქსი ადამიანთა სადაურობისა და წარმომავლობის მაჩვენებელია, იგი დაერთვის გეოგრაფიულსა და ადგილის სახელებს და აღნიშნავს ფუძით დასახლებული პუნქტის მკვიდრს, მცხოვრებს: აზი-ელ-ი, კავკასი-ელ-ი, ესპან-ელ-ი, ეგვიპტ-ელ-ი, ვაკ-ელ-ი, თემ-ელ-ი, უზნ-ელ-ი, ფრონტ-ელ-ი...

-ელ-ის თავდაპირველი ფუნქცია იყო, ეჩვენებინა რომელიმე რელიგიის მიმდევრობა ან აღნიშნა შთამომავლობა და მემკვიდრეობა (ლევიტელი = ლევის ჩამომავალი, ილ. აბულაძე). ცნობილია, რომ ძველსავე ქართულში ამ როლში -იან // -იან სუფიქსი გამოდიოდა: მაჰმად-იან-ი, ქრისტ-იან-ი...

მოგვიანებით -იან სუფიქსი ქონების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა. ადამიანთა წარმომავლობისა და რისამე მიმდევრობის ჩვენება -ელ სუფიქს დაეკისრა: სამარიტ-ელ-ი, სპარს-ელ-ი, ქართველ-ი, შორი-ელ-ი, ჰებრა-ელ-ი... -ელ სუფიქსი ხშირად მ-პრეფიქსთან ერთად იყო წარმოდგენილი: მ-როვ-ელ-ი, მ-არად-ელ-ი, მ-ეგვიპტ-ელ-ი, მ-ეგრ-ელ-ი... (შანიძე, 1973; 127).

ზ.სარჯველაძე მიუთითებს, რომ „წარმომავლობას, ან მიმდევრობას აწარმოებს -იან სუფიქსი (ადამიანი, აბრამიანი, ნესტორიანი...) ... -იან ვარიანტი X-XI საუკუნეებიდან გამოვლინდება (აბრამიანი, მარკიანი, ვალენტინი...) (სარჯველაძე, 1997:184).

-ურ (//-ულ): -ელ სუფიქსის საპირისპიროდ, -ურ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებზე დართვით არაადამიანთა წარმომავლობა-სადაურობის მაჩვენებელია: ებრა-ულ-ი, ფშა-ურ-ი, იონი-ურ-ი, გელაქნ-ურ-ი... შდრ.: გელაქნ-ელ-ი კაცი - გელაქნ-ურ-ი ნივთი. „ასეთი განსხვავება-ელ და -ურ სუფიქს შორის მხოლოდ სამწერლო ენასა და ზოგ

კილოშია გატარებული, მაგრამ ზოგიერთი კილო -ელ სუფიქსს მარტო ადამიანებზე კი არა, სხვა საგნებზედაც ხმარობს და -ურ სუფიქსს, პირიქით, კაცის ვინაობის გამოსახატავადაც“ (შანიძე, 1957; 29). -ურ სუფიქსით ზოგჯერ ადამიანთა სადაურობაც აღნიშნება: ქუთათ-ურ-ი კაცი, გურ-ულ-ი კაცი... მეგრულში კი ყველა შემთხვევაში -ურ თანაბრად აღნიშნავს ადამიანისა და არაადამიანის წარმომავლობას: ბანძ-ურ-ი = „ბანძ-ელ-ი“, შდრ. გურ- ულ-ი: ა) გურული ქალი, ბ) გურული ვაშლი. დასავლურ დიალექტში -ურ სუფიქსის გამოვლენა მეგრულის გავლენით აიხსნება (ჩიქობავა, 1942; 139), მაგრამ ეს მოვლენა აღმოსავლური დიალექტებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგ. ფშურში: „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუმოური ქალია“, გარეკახურში: „ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგწმინდული“ (ჩიქობავა, 1942; 139), ამან დააეჭვა არნ. ჩიქობავა და „-ელ და -ურ სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული კლასკატეგორიის აღსანიშნავად“ მეორეულ მოვლენად ჩათვალა. მით უფრო რომ ზემოიძერხებულში -ელ სუფიქსით ნივთის სადაურობაცაა აღნიშნული: ბაღდად-ელ- ი ღვინო... ონ-ელ-ი შალი (ჩიქობავა, 1942; 139). თქმულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებაშია:

-ელ და -ურ აფიქსთა ამგვარი დაპირისპირება ქართულისათვის ტიპური არ ჩანს და იგი გვიანდელი გრამატიკული მოვლენაა (დონდუა, 1967; 166).

-ურ სუფიქსმა ახალი ფუნქცია შეიძინა, იგი თვისების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა, ეს მოვლენა მე-11 საუკუნეში ჩნდება ქართულში (მანჯგალაძე, 1953; 473). ახალ ქართულში -ურ სუფიქსი თვისების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. იგი დაერთვის სადაურობის გადმოცემის გარდა -ურ//ულ სუფიქსი სხვა ფუნქციითაც გამოიყენება. ალ. მანჯგალაძე აღნიშნავს, რომ -ურ სუფიქსის „თავდაპირველი ფუნქცია არის სახელის დეტერმინაცია“ (მანჯგალაძე, 1953: 473). ავტორის დაკვირვებით, თვისების გამოსახატავად იგი მე-11 საუკუნიდან გვხვდება, მე-12 საუკუნეში კი - უფრო ხშირად. როგორც ქართულს, ასევე უცხო წარმომავლობის სახელებს და აღნიშნავს თვისებას ძირეულ საგანთან მიმართებით: ბრიყვული, ბერული, ფერწერული, ჯადოქრული...

-ურ სუფიქსის გამოყენების მიხედვით შესაძლებელია ერთგვარი ზღვარი დაიდოს ქართული ენის ძეგლებს შორის. მე-10 საუკუნის ბოლომდე შესრულებულ ძეგლებში იგი მეტისმეტად იშვიათად იხმარება, მე-11 საუკუნის ძეგლებში კი თანდათანობით ჩნდება და იკაფავს გზას, ხოლო შემდეგ პერიოდში თითქმის ჩვეულებრივია მისი გამოყენება (მანჯგალაძე, 1953:473). -ურ სუფიქსი სადაურობის გამოსახატავად გამოიყენებოდა V-X საუკუნის ძეგლებში მაგ: საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური(მთ.3,4)

ესე იყო კაც ველურ(დაბ.16,12)

ამაზონელიცა იგი მოსწყვდნეს(M.II.ნშტ.14,15)

დედაკაცი იგი იყო წარმართი, ასური, ფვნიკიელი ნათესავით(მრ.7,26)

რომლისა ბრალისათვის მიეცნენ მამანი ჩუენნი ბაბილონელთა მახვლსა?(ივდთ.8,18)

განაჩინე ლევიტელნი ძეთაგან ისრაჴლისათა (რიცხ.8,14)

განავლინოს კაცად-კაცადმან მონაჲ თვისი და კაცად-კაცადმან მკვეალი თვისი ებრაელი თავისუფლად(იერემ.0,34.9)

გარდამოვიდეს უფალი მოწყუედად ეგვტელთა მათ(გამოსლ.0.12,23)

ეზიარის...არცალა მანიქეველთა უღმრთოთა(მრთ.ანტ.დ.28გვ)

რამეთუ ესენი უაზნაურჴს იყვნეს მათ თესალონიკელთასა(საქ.მოც.17,11)

ხოლო კაცნი იგი სოდომელნი უკეთურ და ცოდვილ იყვნეს წინაშე უფლისა ფრიად(შესაქ.ცხ.გვ96.თვ.XIII)

შეჯამების სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ; -ურ სუფიქსის გამოყენების მიხედვით შესაძლებელია ერთგვარი ზღვარი დაიდოს ქართული ენის ძეგლებს შორის. მე-10 საუკუნის ბოლომდე შესრულებულ ძეგლებში იგი მეტისმეტად იშვიათად იხმარება, მე-11 საუკუნის ძეგლებში კი თანდათანობით ჩნდება და იკაფავს გზას, ხოლო შემდეგ პერიოდში თითქმის ჩვეულებრივია მისი გამოყენება. -ელ-ის თავდაპირველი ფუნქცია იყო, ეჩვენებინა რომელიმე რელიგიის მიმდევრობა ან აღენიშნა შთამომავლობა და მემკვიდრეობა. წარმომავლობას, ან მიმდევრობას აწარმოებს -ეან სუფიქსი (ადამეანი, აბრამეანი, ნესტორეანი...) ... -იან ვარიანტი X-XI საუკუნეებიდან გამოვლინდება (აბრამიანი, მარკიანი, ვალენტეანი...)

§. IX რიგობითი და წილობითი სახელები

რიგობითი სახელი იწარმოება სათანადო რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე პრეფიქ- სუფიქსის მე-ე დართვით. მე-ორ-ე, მე-ათერთმეტ-ე, მე-ათცამეტ-ე....

და მოვიდა მეორე იგი მონად და თქუა(ლ.19,18);

იყო მუნ მარიამ მაგდალიანელი და მერმე მარიამი(მთ.27,61); აქ მერმე მეორეს აღნიშნვს.

დღე იგი მეშვიდე წმიდა წოდებულ იყოს თქუენდა(გამოსლვ.12,16);

ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე(მთ.27,45);

ათორმეტ წელ ჰმონებდეს ქოდოლაგომორს,ხოლო მეათცამეტსა წელსა განგდეს(დაბ.14,4);

მეათოთხმეტსა წელსა მოვიდა ქოდოლაგომორ(ზად.14,5);

მეხუთასით წლით მოვიდის ხეთა ლიზანისათა(ისტ.ქრესტ.281,21);

ასი და ერთეულები შეერთებული იყო და კავშირით:ას და ერთი, ას და ხუთი ას და სამი ...რიგობითად ქცევისას ეს რიცხვები დაირთავენ მე- პრეფიქსს მაგ: იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა (ხანძთ.154,13)

იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათვრამეტსა(აბო.194,33)

უძველეს ხელნაწერებში რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება ოცეულებისაგან ზოგჯერ განსხვავებული იყო, სახელდობრ: მე- ემატებოდა არა ერთეულებს, არამედ ოცეულებს მაგ:

თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესაწელსა(ლ.3,23)

ხანდახან პრეფიქსი ორმაგადაა წარმოდგენილი მაგ:

რამეთუ ვარ მეოცდა მეთექუსმეტე მეფე ვინადთან მამანი ჩუენნი მოავლინნეს(მოქც.42,3)

ძველ ქართულში ზოგიერთ რიცხვით სახელთან წილობითის მნიშვნელობით გამოიყენებოდა -ეულ სუფიქსიანი ფორმები: ხუთეული -5ცალი, ათეული-10 ცალი .. იმ პერიოდის ენაში წილობითის ნაცვლად რიგობითი სახელები იხმარებოდა მაგ: ხოლო საწყაული იგი იყო მეთაე ნაწილი სამისა მის საწყაულისაჲ (გამოსლვ.16,36)

წილობის საწარმოებელი ნა-ალ პრეფიქს-სუფიქსი ძველ ქართულშიც გვხვდება მაგ: და დრაქმე ერთი თავად-თავად ნაზოგალი სიკლისაჲ, სიკლითა მით წმიდითა(გამოსლვ.39,2);

უნდა აღინიშნოს რომ ძველ ქართულში აქა-იქ იხმარება წილობითის ის სახე, რომელიც თანამედროვე გრამატიკაში გვაქვს მაგ:

და მოსწყდა მესამედი დაბადებულთა ზღვსათაჲ(გამოცხ.8,9). ამ შემთხვევაში მესამედი ამგვარად გამოყენებული ეთადერთი ფორმაა.

§. X დანიშნულების სახელები

დანიშნულების, განკუთვნიების შინაარსის გამომხატველი სახელები იწარმოება: სა-ე, სა-ო, სა-ურ აფიქსებით (შანიძე, 1973: 133; კვაჭაძე, 1969: 172; ლლონტი, 1971, 122). როგორც ვხედავთ, პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი. აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსებიდან სამხრულში გვხვდება სა-ე, სა-ო აფიქსებით ნაწარმოები სახელები. სა-ე გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნიებას: სა-ქათმ-ე, სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ყინულ-ე და სხვა. მრავალ სახელს ზედსართაობა დაკარგული აქვს საზღვრულის ჩავარდნის გამო და არსებითად ქცეულან: სალორე, ღორისთვის განკუთვნილი ადგილი; საყურე, ყურისთვის დანიშნული სამკაული და მისთ. რა თქმა უნდა, ზედსართაული გაგებაც შეიძლება შენარჩუნდეს: სა-ურმ-ე (გზა), სა-ჩოხ-ე (შალი), სა-პერანგ-ე (მასალა)... (შანიძე, 1973: 132)

სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია: სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო, სა-უნივერსიტეტ-ო... ბევრ ასეთ სახელს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული: სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-მრეკლ-ო და სხვა (შანიძე, 1973: 132).

სა- პრეფიქსი და მასთან ერთად სხვადასხვა სუფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. ტოპონიმებშიც მათ თითქმის იგივე დანიშნულება — თვისების გამოხატვის ფუნქცია აქვს, რომელიც ხშირად სიმრავლესაც უკავშირდება“ (ზურაბიშვილი, 1961: 153). რჩება შთაბეჭდილება, რომ სა- პრეფიქსიან კონფიქსებში დანიშნულებას სწორედ პრეფიქსი გამოხატავს, მასთან მიერთებულ სუფიქსს კი დანიშნულების მნიშვნელობა არ უკავშირდება (შდრ. გოგოლაშვილი, 2011: 233).

აკ. შანიძე სა-ე და სა-ო პრეფიქს-სუფიქსებს აიგივებს (შანიძე, 1973:136). გ. ახვლედიანის დაკვირვებით, თანასწორ პირობებში სა-ე-ს (ე.ი ე-ს) სუბსტანტივობისაკენ აქვს მიდრეკილება, სა-ო-ს (ე. ი ო-ს) კი--ადიექტივობისაკენ, რამდენადაც -ო ქართულში იხმარება ზედსართავის საწარმოებელ სუფიქსად, -ე კი - სუბსტანტივის მაწარმოებელია (ახვლედიანი, 1923: 58-59). ჩანს, სა-ე და სა-ო კონფიქსებს თავდაპირველად საერთო ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. სა- პრეფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, დანიშნულებას გამოხატავდა, -ე და -ო სუფიქსები კი განსხვავებული ფუნქციის მატარებლები იყვნენ

მჯდომარე **საზუერესა** ზედა(მარკ.2.14)

ხოლო მან არა ისმინა მისი,არამედ წარვიდა და შეაგდო იგისა**პერობილესა** (მთ.18.30)

ხოლო განახუნა იოსებ ყოველნი **საიფქლენი** და მიჰყიდა ყოველთა ეგვიპტელთა (CB შესაქ.თვ.XL გვ247)

და ჰრქუა მას : მოყუას ვითარ შემოხუედ აქა , რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი **საქორწინე?**(მთ.

დაესუნა გვამი მისი **სადიაკონესა** შინა(მ.ცხ.გვ179)

სასანთლე და **სამღვდელო** და ყოველი ჭურჭელი მისი,და ზეთი **საცხებლისა**, **საკმეველი** შეზავებული და ეზო ბჭესა შინა კარავსა (B გამოსლ.თვXXXV გვ529)

ხოლო რაითა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე **სამჭედური** მთ.

და ჰრქუა მას : მოყუას ვითარ შემოხუედ აქა , რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი **საქორწინე?**(მთ.22.12)

რქასა მას **საზეთესა** არ დააკლდეს(ო.III.მეფ.17,14)

დასდგმიდეს ცხედრებითა და **საკაცებითა** (საქ.მოც.5,15)

მან შთადვა იგი მახალსა მას **სასაგზლესა**(ივდ.13,12)

აღუვსით ეშმაკსა **საწდჭ**(ო.ეს.65,11)

და თქუა ღმერთმან:იქმენინ **სამყარო** შორის წყლისა და იყავნ განყოფელ შორის წყლისა! (CB.შესაქ. თვ.I .გვ 62)

წინა წარვედით წინაშე ჩემსა და თხანი დაუტევეთ შუა **სამწყსოსა** და **სამწყსოსა**. (CB შესაქ.თ I . გვ 197)

და აღდგომილი წარვიდა და მოიძარცვა თერისტროი თავისაგან თვისისა და შეიმოსა სამოსელი **საქურიო** მისი.(CBშესაქ. თI. გვ 228); უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე სიტყვა სხვა O რედაქციაში გვხვდება **ქურიობისა** ფორმით.

მიიყვანოს იგი უფალმან მისმან **სამსჯავროსა** ღმრთისასა და მერმე მიიყვანოს იგი კარად ზღუბლსა თანა (.Cგამოსლ. თXXI გვ431);

და ისმინა აბრაამ ეფრონისი და მისცა აბრაამ ეფრონს ვერცხლი, ოთხასი დიდრაქმა ვერცხლისა გამოცდილისა **სავაჭროსა**(CBშესაქ. თXXIII. გვ138);

მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ **სამთავროთა** მთავარსა ჰამბავი იესუსი(მთ.14.1);

აღილო ვაშკარანი იგი **სამწყემსო**(ატმ.109,12);

რომელი მოვალს **სამუშაკოსა** მას მონაზონებისასა(მ.ცხ.გვ281);

მოსდევს დიდი ბადე **სანადირო** შორს(მ.ცხ.გვ.193);

მომეცით მე კაცი, რომელმან მასწავოს მე გზად მის **საავაზაკოსა** (მ.სწ.292,25);

კევად-კვად, რადთა აღაშენნენ **საგლახაკონი**(ნრს.70,11);

მონასტერნი და **სადაყუდებულონი**...თვსითა საფასითა იყიდნეს(ი-ე.20,12);

წარმოჰმართა **სადიასპანოთა** ცხენითა მონად თვსი(შუშ.II.5);

გოდლითგან **საებგუროთ** ვიდრე ქალაქამდე მათ ძნელთა(O.IV.მეფ.17,9);

სადა აწ არს ეკლესია **საებისკოპოსო**(ქ.ცხ.18,11);

არს სიბრძნე ... ქუეყანისაჲ, მშუმინვიერი, **საეშმაკო**(იაკ.3,15);

შევმუსრო სახლი იგი გარემო ფრთეედი საახლსა ზედა **საზაფხულოსა**(O.ამოს..3,15);

საყდართა შორის **საკათალიკოზთა** საჩინო არს(ი-ე.33,25);

მიიწია **საკერპოსა** მას აპოლონისასა(ფლკტ.154,14) ;

დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და **სალაშქოთა** საქმეთა(ი-ე.21,24) ;

შეიმოსა სამოსელი **სამამო**(ანდ.ანატ.222,4) ;

ვართ სამწყსონი **სამოციქულო**სა ეკლესიისა წმიდისანი(რიფს.164,30) ;

ივლტიედ ყოველნი, რომელთა ჰნებავნ მიპარვად **სამცველო** მათი(მ.სწ.13,9) ;

რადთა განჰმზადოს **სანათლო**(დიონ.146,22) ;

სასაგროსა მას დაწესებულ იყვნეს შჯულსა(ბ.კეს.40.თვს.116,32) ;

და ყოველი ხე,რომელი იყო აგარაკსა შინა, რომელ არს **საზღუართა** მისთა გარემოს,აბრაამისა მონაგებ წინაშე ძეთა და ყოველთა შემავალთასა ქალაქად (თ XXIII CB გვ138) ;

ვაი სოფლისა ამას **საცთურთა** მათგან,რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი(მთ.18.7) ;

და **საცეცხური** მისი და ფიალები მისი,და ფუცხუები მისი რვალისა(OB .გამოსლ.თვXXXVIII. გვ546) ;

მოირტყა **საბეჭური** თვისი(მ.ცხ.342).

დავაცარიელენ **საგანბურნი** ჩემნი ტაძართათვს კერპთაჲსა(ბალ.108,3) ;

არა მოიღონ შენგან ქვაჲ **საკიდური**(I.იერემ.51,26) ;

რომელთა ძმათა აქუნდა **საწვმრები**, მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად(ი-ე.33,9) ;

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, დანიშნულების **სა-ე, სა-ო, სა-ურ** მაწარმოებლებს შორის განსხვავება მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით ნაკლებ შესამჩნევია. ეს მაწარმოებლები, ამ მხრივ, განსხვავებას ძველ და ახალ ქართულს შორის არ ქმნიან.

§. XI კნინობითი სახელი

კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომითანსიდიდითნაკლებია, ვიდრე ძირეულით აღნიშნული(შანიძე,1953:121).წიგნი-წიგნაკი,დედოფალი-დედოფალაა და სხვა. ამასთან ერთად, კნინობითობა სიტყვის მნიშვნელობას ემოციურ-გამომხატველობითს იერს აძლევს. სალიტერატურო ქართულში ასეთი წარმოება ნაკლებ გავრცელებულია.კნინობითობა უფრო მეტად დამახასიათებელია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის. მისი წარმოება განსაკუთრებით მრავალფეროვანია ხევსურულში, ფშაურში, რაჭულსა და გურულში. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნუსხულია კნინობითის შემდეგი სუფიქსები: მარტივი -ა, -აკ, -იკ, -ოკ, -უკ, -ან, -ინ, -უნ, -ალ,- ელ, -ილ, -ულ, -ატ, -იტ, -ეტ,- უტ, -უც, -უჩ, -უჭ,-უხ და რთული -ი-ა, -იკ-ა, -უკ-ა, -ინ-ა, -უნ-ა, იტ-ა, უც-ა, -იკ-უნ-ა, -ოკ-ინ-ა, -უკ-ელ-ა, -იკ-ელ-ა, -ინ-იკ-ა, -უც-უნ-ა, -უხ-ან-ა, მათ როგორც წესი ისევ კნინობითობის -ა ბოლოსართი აქვთ დართული (ვ.თოფურია.1946:12)

ყველა ეს სუფიქსი თანამედროვე ქართულში თანაბრად ხმარებული არაა, ზოგი აქტიურია,ზოგიც პასიური.. რაც შეეხება ძველ ქართულ ენას, ამ მხრივ, ის საკმაოდ დარიბულად გამოიყურება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ V-XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო ხასიათისაა და ძირითადად, მის სტილს ემსახურება. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის სალიტერატურო ენის ძეგლებში მაინც

გვხვდება ისეთი სახელები, რომელთაც კნინობითობის მნიშვნელობა აქვთ. ასეთ სახელთა საწარმოებლად მხოლოდ ორი სუფიქსია გამოყენებული: იშვიათად -ა, ხშირად-აკ.

-ა სუფიქსი კნინობითობის გამომხატველია ქალა-ში მაგ:ქალა შენ გეტყვ, აღდეგ(მრ.5,4). კნინობითის ფუნქციით არის ნახმარი -ა აგრეთვე ისეთ სახელებში, როგორცაა ჭაბუკა, ქათამა.

ვინ არს ჭაბუკა ესე?(რუთ.2,5)

-ა-სთან შედარებით -აკ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ძველ ქართულში უფრო მეტია.

ესუა ძმ მცირეაკ(ო.ი.მეფ.9,12)

გალიაკითა მივიდა იგი მეფისა(ეზეკ.19,9)

შეეწია გლახაკსა უპოვარებასა შინა მისსა(ფსლ.106,41)

მეექუსედი დორაკისაჲ ჟამითგან ვიდრე ჟამამდე სუა(ეზეკ.4,11)

მოკუეთნა კალთაკნი კუართისა მათისანი(ი.მეფ.ო.10,4)

აღჰკიდა...თხიერაკითა ღვნოდ(ივდ.ო.10,5)

ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით(მთ.26,)

ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა(მთ.10,10)

ბრძანა განტევებად მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ(შუშ.20,26)

რაითა დავეყუდო სენაკსა შინა ჩემსა(მ.ცხ.25)

და მიიღო ცეცხლითა ჳელითა თვისთა და დანაკი და წარვიდეს ორნივე ზოგად(დაბ.22,6)

მივიღო... პატრუჳაკი ჩემი, რომელ დაუკალ მრისუველთა ჩემთა(ო.ი.მეფ.25,11)

მოიღო იოაბ სამი ლიბანდაკი ჳელითა(ო.ი.მეფ.18,14)

წამობერტყა ყოველი მალაკები ჩუენი და პოვა მცირე ნატეხი პურისა(ლიმ.96,2)

აღმოიღო მახალაკისაგან თვისისა წმიდაჲ სახარებაჲ(ლიმ.13,16)

მუშაკი მომთვრალჳ ვერ წარეწიოს სიმდიდრესა(ო.ზირ.18,33)

სასანთლესა მას ოთხნი ტაკუკნი, გამოსახული ნიგოზაკებსა(ო.გამოსლ.25,34)

გარეშე სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით(ლ.11,39)

აჰა ესერა... პიტნაკი და ზაფრანი(ბ.კეს.ექუს.დღ.64,17)

იხილა რად ესე ევსებია სახლაკით გამო თვისით(თ~ე.553)

სენაკი მონაზონისად სახლი არს გლოვისა და მწუხარებისად(მ.სწ.167,36)

სამოსელი მისი სპეტაკ იყო ვითარცა თოვლი(მთ.28,3)

მოიღე თავისა შენისა ტაპაკი რკინისად(ო.ეზევ.4,3)

მოწყდნა ტაპარაკითა და ვაზრითა რკინისადთა(ო.ი.მეფ.12,31)

მივსცეთ ქუეყანაკი ესე ჩუენი კაცსა მოქმედსა(საკ.წიგ.ი.94,21)

§. XII თანდებულები წარმოქმნის როლში

მველი ქართულისთვის ჩვეულებრივი ენობრივი მოვლენა იყო თანდებულებიანი სახელისაგან ახალი სახელის წარმოება, აქ თანდებული უკუდებულია (შანიძე.1980:117) მაგ:გან-განი

ჰპოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცთაგანი არა დაჯდომილ არს(მრ.11,2)

მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად(მთ.27,27)

თანა - თანაჲ

ხოლო ხიყვნეს მაგდანელი მარიამ და იოჰანა და მარიამ იაკობისი და სხუანი მათთანანი ხუთრობდეს მოციქულთა ამას(ლ.24,10)

არა ჯერ იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ(მთ.12,4)

მიმართ - მიმართი

ხოლო იოვანე, ვითარცა უფლისა მოწამემან ღირსმან, თქუმულნი ესე მისა მიმართნი არად შეჰრაცხნა(ი.ოქრ)

მიერ - მიერი

და მოსეს მიერთა ამათ წიგნთაცა კითხვად მოწრაფე იყო

შინა - შინაჲ

და საფლავების შინათა ცხორების მიმნიჭებელი(საგალობელი)

შორის - შორისი

ყოველი ნაწილთ შორისი ყოფლობად ნაწილი არს ნაწილაკთაგანისა ყოფლობისა(ი.პეტ.შრომ.1927:132)

დასკვნები

1. სიტყვაწარმოება ერთ- ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად და მისი ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფება საენათმეცნიერო დისციპლინის- ლექსიკოლოგიის ამოცანაა.
2. წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. გარდა აღნიშნული დიფერენციაციისა, შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვა.
3. აბსტრაქტულ სახელთა გაანალიზების დროს დამტკიცდა, რომ -ობა სუფიქსი ყველაზე აქტიური, ცოცხალი და მოქმედი მაწარმოებელია. ის დაერთვის ყოველგვარ სახელს. მარტივსაც და ნაწარმოებსაც, ასევე ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულს. -ობა სუფიქსი ასევე დაერთვის -ეულ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს, მოქმედების აღმნიშვნელ სახელთაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, ორმაგ წარმოებას ქმნის სი-ე კონფიქსით ნაწარმოებ სახელებთან, ასევე გვხვდება სა-ე კონფიქსით ნაწარმოებ სახელებთან, ზედსართავ სახელებთან დართვის დროს სახელს წარმოგვიდგენს ზმნიზედის მნიშვნელობით. -ობა სუფიქსი გაცილებით მცირეა -ება სუფიქსთან შედარებით და ძირითადად, თვისების აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის და აწარმოებს განყენებული შინაარსის სახელებს. -ება სუფიქსის ნაცვლად გვხვდება -ვ სუფიქსი: დაბადვა...
4. ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია -იან სუფიქსი,-იან სუფიქსი აქტიური მაწარმოებელია ქონების სახელებისა, როგორც მარტივფუძიან, ასევე რთულფუძიან სიტყვებთან, ასევე დაერთვის არსებით, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელებს და აწარმოებს მქონებლობას. ძველ ქართულში -იან სუფიქსით ნაწარმოები მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა პარალელურად -ოვან (ოან-უან) სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება, ასევე -იან სუფიქსის ნაცვლად- იერ სუფიქსი გამოიყენება: ტვინიერი, ჭკუიერი...

5. უქონლობის მაწარმოებელი სახელები, უ-ო და უ-ურ მაწარმოებლებით გვხვდება. უ-ო აფიქსიანი წარმოება უ-ურ აფიქსთან შედარებით მრავალრიცხოვანი და გავრცელებულია და ის დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს. უ-ურ მაწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს ა) დაერთვის უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს. ბ) ხმოვანფუძიანთაგან დაერთვის მხოლოდ ა, ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს, როგორც აღვნიშნეთ უ-ურ კონფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები მცირეა.

6. წარმომავლობის სახელებს სამხრულ კილოებში აწარმოებს -ელ და -ურ სუფიქსები. ამ სუფიქსთა განაწილების წესი, რომ -ელ სუფიქსი ადამიანთა წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო -ურ სუფიქსი არაადამიანთა წარმომავლობას, თუმცა ეს წესი მტკიცე არ არის: -ელ სუფიქსით აღინიშნება რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -ურ//ულ სუფიქსით - ვინ ჯგუფის სახელთა სადაურობაც, დასტურდება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე მაგალითში ერთ შემთხვევაში -ელ სუფიქსი, ხოლო მეორე შემთხვევაში -ურ გვხვდება. ასევე უნდა აღინიშნოს რომ -ეთ, -ელ სუფიქსების ნაცვლადაც -ურ სუფიქსი გამოიყენება.

7. დანიშნულების სახელების გაანალიზების დროს შეიძლება დავასკვნათ, რომ სა-ე კონფიქსი უმეტესად დანიშნულების სახელების მაწარმოებელია, სა-ო კონფიქსი კი დანიშნულება-განკუთვნებისა. სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან აწარმოებს სახელებს.

8. წინა ვითარების სახელთა წარმოების დროს აღსანიშნავია ის თავისებურება, რომ ნა-ევ კონფიქსის ნაცვლად გვხვდება ნა-ალ, ასევე გვაქვს -ევ სუფიქსის წარმოების ადრინდელი წესის დადასტურების შემთხვევებიც.

9. ხელობის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია მე-ე კონფიქსი, მაგრამ გვხვდება მე-ურ მაწარმოებლიანი ფორმებიც, რომელთა დიდი ნაწილი ძველქართულში ჩანს ჩამოყალიბებული. მე-ე და მე-ურ კონფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძეთა შერჩევის პრინციპით: მე-ურ დაერთვის ერთმარცვლიანებს, ხოლო მე-ე შეუზღუდავად,

10. ხარისხის სახელთა წარმოება გვიჩვენებს, რომ ხარისხის სახელთა ისეთი წარმოება გვაქვს, რაც დამახასიათებელი მოვლენაა სალიტერატურო ენისთვის.

11. კრებულის აღსანიშნავად გამოიყენება -ნარ -ოვან..სუფიქსი, მაგრამ ეს წესი ყოველთვის დაცული არ არის, რადგან -ნარ სუფიქსი ზოგჯერ სხვა სახელებსაც დაერთვის და მიუთითებს ადგილზე, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი; მაგ: კენჭნარი, ქვანარი. ასევე გვხვდება -ნარ სუფიქსის პარალელურად -ნალ სუფიქსი დისიმილაციის ნიადაგზე.

12.ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო თანდებულებისგან სახელთა წარმოება,გან- განი, თანა-თანად, შინა-შინად, მიმართ- მიმართი, მიერ- მიერი,შორის-შორისი.

შემოკლებათა განმარტებანი

აბო-წამებაი წმიდისა მოწამისა ჰაბოღსი.

ანტიოქ-ტიმოთე ანტიოქელი.

ატმ-წამებად წმიდისა ატომისი და ძმისა მისისა და მოყვასთა მისთად,

არსტ-წამებად წმიდათა მღდელთ-მოდღუართად სომხითისათა, არისტაკწსი, ორთანწსი, ოსიკისი, გრიგორისი, დანიელისი.

ანდ.ანატ-წამებად წმიდათა მოწამეთად ანდრიანწსი და ცოლისა მისისა ანატოლწსი და მათ თანა მოწამეთად, რომელნი ნიკომიდია ქალაქსა იწამნეს.

ბალ-ცხორებად ნეტარისა იოდასაფისი.

ბოლნ-იოვანე ბოლნელი.

ბ.კეს ექუს დღ-ბასილი კესარიელი ექუსთა დღეთად.

ბ.კეს.40-თვს-ბასილი კესარიელის ხსენება ორმოცთა მოწამეთასა.

გამოსლვ-წიგნი გამოსლვათად.(ძველი აღთქმა).

გამოცხ-გამოცხადებად იოვანწსი.

გრ.ნოს.კაც.აგებ-გრიგოლ ნოსელის კაცისა აგებულებისათვს.

დაბ-წიგნი დაბადებისად.(ძველი აღთქმა).

დიონ-ცხორებად დიონოსიოსისი ეპისკოპოსისად, რომელი იყო ძვ სოკრატისი და მთავარი ათენელთად.

ეფეს-ეფესელთა მიმართ ეპისტოლწ პავლწსი.

ეზეკ-წინასწარმეტყუელებად ეზეკიელისი

ეკლ-ეკლესიასტე

I.ეს -წინასწარმეტყუელებად ესაიასი.

ესთ-წიგნი ესთერისი

O.III.ეზრა-წიგნი ეზრასი

ზირ-წიგნი სიბრძნისა ისუ ზირაქისი.

ზარზ--ბასილი ზარზმელ, ცხორებად და მოქალაქეობად სერაპიონ ზარზმელისად

თევდ-მარხვათა პირველსა კვრიაკესა, დღესა შაბათსა, საცსენებელი წმიდისა და ღუაწლით შემოსილისა თეოდორესი.

თუალთ-ეპიფანე კვპრელისა თქუმული ათორმეტთა მათ თუალთათვს.

ი-სახარება იოანესი.

იგ.სოლ-იგავნი სოლომონისნი.

I.იერ-წინასწარმეტყველებად იერემიადსი.

ივდთ-წიგნი ივდიითისი.

იოზ-წიგნი იოზისი.

ი-ე-ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი.

იოვ-წინასწარმეტყველებად იოელისი.

იაკობ სამოც-თავნი იაკობ მოციქულისა კატოლიკისანი.

ისტ ქრესტ-ივ იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ.I.953.

I.კორ-კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლჳ პავლჳსი.

II.კორ-კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლჳ პავლჳსი.

კ.იერ.ნათ.ლისლ-თქუმული კვრილჳსი ნათლისღებისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა.

კ.იერ.აღდგ-აღვსებისა ორშაბათსა ზატიკსა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კვრილჳს იერუსალემელ მთავარეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათვს უფლისა ჩუენისა და სულთათვს.

ლ-სახარება ლკასი.

ლევიტ-წიგნი ლევიტელთაჲ.

ლიმ-იოანე მოსხი, ლიმონარი.

I.მეფ-წიგნი მეფეთაჲ.

IVმეფ-წიგნი მეოთხე მეფეთაჲ.

მ.სწ-მამათა სწავლანი.

მთ-სახარება მათესი.

მოქც-მოქცევაჲ ქართლისაჲ

მრ-სახარება მარკოზის.

მრავ-მრავალთავი.

მ.ცხ-მამათა ცხოვრება.

ნეემ-წიგნი ნეემიაჲსი.

ნრს-წამებაჲ წმიდისა ნერსჲ მთავარეპისკოპოსისა სომხეთისაჲ და ხადისი ეპისკოპოსისაჲ მოწფისა მისისაჲ.

ნშტ-წიგნი პირველი ნეშტთაჲ.

ოვსე-წინასწარმეტყუელებაჲ ოსესი.

ოქრ.მარხ და იონ-თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონადსთჳს.

პარხ-პარხლის მრავალთავი(საქ.მუზ.ხელნ.А.95).

რიფს-წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი მოყუასთა მისთაჲ.

რუთ-წიგნი რუთისი.

საბა ასურ-ცხოვრებაჲ საბა ასურისაჲ.

საქ.მოც-საქმე მოციქულთა.

საკ.წიგ-საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში.თბ.1966

სას.პოეზ-ძველი ქართული სასულიერო პოეზია.

სვან-სვანური მრავალთავი.

ტიმ-ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე პავლესი.

უდაბნ-უდაბნოს მრავალთავი.

ფს-ფსალმუნი დავითისი.

ფლპ-ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე პავლესი.

ფლკტ-წამებაჲ წმიდისა ფილეკტიმონისი, კიმენი, ტ.1.თბ.1918.

ქ.ცხ-ქართლის ცხოვრება.

შუშ-მარტვილობა შუშანიკისი.

7

შატბ-შატბერდის კრებული .

შესაქ-წიგნი შესაქმეთაჲ.

ცხ.იოვ და ეფთ-ცხოვრება იოანესი და ეფთიმესი.

ხანძთ-გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ.

ჰრომ-ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლჳ პავლჳსი.

გამოყენებული ლიტერატურა

ა.მარტიროსოვი-კნინობითი სახელები ძველ ქართულში:იბერიულ - კავკასიური ენათმეცნიერება XX ტომი,მეც.1973.

ა.მარტიროსოვი-აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში:იბერიულ - კავკასიური ენათმეცნიერება IX-Xტომი,თბ-1958.

აღ.მანჯგალაძე-ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში:იბერიულ - კავკასიური ენათმეცნიერება V ტომი, თბ.1953.

შანიძე, 1973: ა.შანიძე-ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ-1976.

ა.შანიძე -ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,თბ-1980.

არნ.ჩიქობავა-სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ.1942.

გ.გოგოლაშვილი-სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში:ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში №3.თბ.1975

თ.ზურაბიშვილი- ნა-ევ და ნა აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი:ქართული სიტყვის კულტურის საკითხები,თბ.1972.

თ. მამარდაშვილი-წინა ვითარების სახელთა წარმოების ზოგი თავისებურების შესახებ ქართულში.

. ივ.იმნაიშვილი-სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში,თბ-1957.

ილ.აბულაძე-ძველი ქართული ენის ლექსიკონი,მეც-1973.

ძვ.აღთქმა.შესაქმისა გამოსლვათაჲ,ნაკვეთი 1.მეც.1989.

(ვ. თოფურია, 1956, (ფოჩხუა, 1974

(არნ. (ფოჩხუა, 1972ჩიქობავა, 1964

52

(ტუსკია,1975). (შანიძე, 1973: